# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 აპრილი, 2011 წელი.

№65 (6677)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საააკაშვილის ეგრეთ წოდებული „გატაცების პროექტები“ და „ქარს გატანებული“ მილიონები



6-7

რა დაუჯდა სახელმწიფო ბიუჯეტს გომბორის გზის ნაყალბევი მშენებლობა?



5

## დუტა სხირტლაძისგან

თელაველები ასეთ „სპექტაკლს“ ნამდვილად არ ელოდნენ...

## მართლა შავ პურს მივირთმევთ თუ სალებავით შეფერადებულს? 7

რას ითხოვდნენ პედაგოგისგან



4

## რატომ დაითხოვეს პროგრამიდან ინგლისური ენის უცხოელი მასწავლებელი?



2

„OPEN DEMOCRACY“:

## ამერიკულ-რუსული „გადატვირთვა“ ამერიკის მხრიდან სამხრეთ კავკასიაში ახალი სტატუს-კვოს აღიარებას ნიშნავდა

## „ვიკილიკსი“, სამხრეთ ოსეთი და რუსეთის „გადატვირთვა“



8

## რატომ სთხოვენ რუსთაველებს მრიცხველებში უკანონოდ 100-100 ლარს? 5

## კმაყოფილია ძაღლიც და პატრონიც... 3



უცხოელის თვალით

# „Open Democracy“: ამერიკულ-რუსული „გადატვირთვა“ ამერიკის მხრიდან სამხრეთ კავკასიაში ახალი სტატუს-კვოს აღიარებას ნიშნავდა

**როგორც დანიის სამეცნიერო კვლევების ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი ჰანს მორიტცენი წერს, გადატვირთვის გზავნილის ქვეტექსტი ასეთი იყო: „ჩვენ არ მოგვწონს ის, რაც 2008 წლის ომის დროს და მის შემდეგ მოხდა, მაგრამ ამას ვერაფერს მოვუხერხებთ, ვინაიდან მსოფლიოში საქართველოზე გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს“.**

„სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: „შენ (რუსეთოძ შეგიძლია, საკუთარი ინტერესების სფერო გქონდეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ჩვენ ამას, როგორც ყოფილი ჰეგემონი, ოდესმე ვაღიარებთ“.




სწორედ ამიტომ საქართველოს ნატოში გაწევრების ისედაც მცირე შანსი კიდევ უფრო შემცირდა. ამერიკის პერსონალური პრობლემების გარდა, სხვა საკითხები არსებობდა, რომელთა გადაწყვეტაც რუსეთთან ერთად იყო სასურველი: ამერიკული ფინანსური კრიზისის გლობალური ზეგავლენა, ირანთან ურთიერთობა, ავღანეთი, ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, შეიარაღებაზე კონტროლი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა და ა.შ. აშშ-ის და რუსეთის ურთიერთობებმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ ნატოს 2010 წლის ნოემბრის ლისაბონის სამიტის შემდეგ ნატო-რუსეთის ერთობლივი ანტისარაკეტო ფარის გეგმების შესახებაც კი გამოცხადდა. თეორიულ ლიტერატურაში „სუსტთა ძალის“ შესახებ შეთანხმებული მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ „ლიდერთა შორის თანამშრომლობა სუსტებისთვის გაცილებით სახიფათოა, ვიდრე მათ შორის „საშუალო“ დონის კონფლიქტი“, – აღნიშნავს ავტორი და მაგალითად ნაპოლეონს და რუსეთის მეფეს შორის ტილზიტის შეთანხმების შედეგად შვედეთის მიერ ფინეთის დაკარგვას და მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შემდეგ პოლონეთის და ბალტიის ქვეყნების ბედს ასახელებს.

„ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, საქართველო და გარკვეულწილად აზერბაიჯანიც საკუთარი უსაფრთხოების სისტემებს საპირწონედან „აშშ რუსეთის წინააღმდეგ“ აწყობდნენ. ახლა ეს სახელმწიფოები დასუსტდნენ: უკრაინა რუსეთის მხარეს გადავიდა; ბალტიისპირეთის სახელმწიფოები თავს საქართველოსთან აიგივებენ და სულ უფრო მეტად გრძნობენ, რომ ნატოში მათი წევრობა სამხედრო ბაზების სახით ყოველგვარი ფიზიკური მხარდაჭერის გარეშე უბრალოდ არაფერია, ხოლო პოლონეთი მანამდე დაგეგმილი ანტისარაკეტო ფარის სისტემის გარეშე დარჩა, რადგან აშშ-მა რუსეთთან „გადატვირთვის“ გამო ამ გეგმაზე უარი თქვა. ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნებს ყველაფერი აუნაზღაურეს, თუმცა საეჭვოა, თავად ისინი თავს სრულად დაკმაყოფილებულებად გრძნობდნენ. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებმა რუსეთის მხრიდან სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში მეხუთე მუხლის თანახმად, „დაცვის გეგმა“ მიიღეს, რომელიც გასაიდუმლოებული იყო მანამ, სანამ ის ვიკილიქსმა არ გაახმაურა. საქართველომ დიდი ოდენობით ამერიკული დახმარება მიიღო, მაგრამ არანაირი სამხედრო დახმარება – 2008 წლის ომის შემდეგ“, – აღნიშნავს მორიტცენი და მოსკოვში ამერიკის ელჩის ჯონ ბაიერლის 2009 წლის ივნისის დეპეშიდან ამონარიდი მოჰყავს, რომ „საქართველოსთან უფრო მჭიდრო სამხედრო კავშირებზე გადასვლა რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვის“ ძალისხმევას საფრთხეს შეუქმნის“.

„მეორეს მხრივ... ჩვენ ვერ ვხედავთ იმ გეოგრაფიული უპირატესობის, მოცულობისა და შესაძლებლობების განეიტრალების გზას, რომელიც რუსეთს აქვს. წასვლის წინ ბუშის ადმინისტრაციამ საქართველოსთან „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიას“ მოაწერა ხელი, მაგრამ ეს დოკუმენტი ყველაფერია, სტრატეგიულის გარდა. იგი „ლეღვის ფოთოლია“ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აშშ-მა საქართველოსთან ურთიერთობა უკანა პლანზე გადაწია. შესაძლოა, ამის შედეგად საკუთარი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირება საქართველომაც გადაწყვიტა, გააძლიერა რა კონტაქტები თურქეთთან და ირანთან. აშშ-ის წარმომადგენლები ქართველი კოლეგების დამშვიდებას შეეცადნენ იმ არგუმენტით, რომ ახლა, როცა ვაშინგტონ-რუსეთის ურთიერთობებში „გადატვირთვა“ ამუშავდა, საქართველო უფრო დაცულია, თუმცა, რაღა თქმა უნდა, მათავიწყდებათ იმის დამატება, რომ „გადატვირთვა“ გაცილებით მნიშვნელოვანია თავად აშშ-სთვის, ვიდრე რუსეთისთვის“, – წერს მორიტცენი.

**ნინო ჩიჩუა**
**„პირველი“**

ინფორმაცია

## ადგილობრივი თვითმმართველობები ხალხის დაკვეთას არ ასრულებენ

**„ახალმა მემარჯვენეებმა“ შარშან წამოწყებული პროექტის „ახლოს რეგიონის პრობლემებთან“ ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რაიონში ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვის მონიტორინგი განახორციელეს და მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკის დეფორმაციას ახდენენ და საკუთარი უფლებამოსილებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაფინანსების ნაცვლად იმ სტრუქტურებზე ხარჯავენ თანხებს, რომელთა დაფინანსებაც მათ კომპეტენციაში არ შედის.**

**რეგიონებში დღეს არსებული უკიდურესად მძიმე სოციალური ფონი, სოფლების აბსოლუტურად მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგების, კომუნიკაციების სფეროში არსებული პრობლემები ადგილობრივ თვითმმართველობებს ავალდებულებს, ბიუჯეტების ხარჯვისას პირველ რიგში გაითვალისწინონ საკუთარი უფლებამოსილებები და არ აიღონ თავიანთ თავზე დამატებითი ფუნქციები. მიუხედავად ამისა, საქართველოს რაიონების ადგილობრივი თვითმმართველობები, რომლებშიც ოპოზიცია მწირად არის წარმოდგენილი და ძირითადად ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებით არიან დაკომპლექტებული, კანონის მოთხოვნას და ხალხის დაკვეთას არ ასრულებენ.**

**ქალაქების – ბათუმისა და ქუთაისის, ჩხოროწყუს, ასპინძის, წალენჯიხის, ხონის, ვანის რაიონების თვითმმართველობებმა ინფლაციისა და სურსათსა და ძირითად სამომხმარებლო საგნებზე ფასების კატასტროფული ზრდის გამო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილი დაფინანსების პრობლემის მოგვარების ნაცვლად, რაც მათი უშუალო მოვალეობაა, არჩიეს ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის ხარჯზე გასულიყვნენ ფონს და 20-50 %-ით გაეზარდათ საბავშვო ბაღებში სწავლის გადასახადი. თუმცა ეს თვითმმართველობები საკმაოდ ხელგაშლილნი აღმოჩნდნენ პოლიციის და მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების მიმართ და მათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები გამოუყვეს.**

**„ახალი მემარჯვენეების“ რეგიონული სამსახურის უფროსმა გიორგი ასათიანმა წარმოადგინა ზემოთ აღნიშნული თვითმმართველობების 2011 წლის ბიუჯეტებში განათლების დაფინანსებასა და პოლიციისთვის და მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებისთვის გამოყოფილი ხარჯების თანაფარდობა, რომელიც ნათლად აჩვენებს როგორ ეკიდებიან საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებას ისინი.**

ჯი-ეიჩ-ენი

მეზობელი

# ერევანი დაინტერესებულია, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის ერთობლივი საბაჟო კონტროლი განხორციელდეს




**ქართულ-სომხურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე „ინტერპრესნიუსი“ სომხეთის პრემიერ-მინისტრს ტიგრან სარქისიანს ესაუბრა.**



**– ბატონო ტიგრან, თქვენი აზრით, როგორ ვითარდება ქართულ-სომხური ეკონომიკური ურთიერთობები?**

– სომხურ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები საკმაოდ დინამიკურად ვითარდება. ჩვენ დაინტერესებული ვართ ამგვარი ურთიერთობების გამყარებაში, გაფართოებასა და გაღრმავებაში. მხედველობაში მაქვს ის, რომ სომხეთსა და საქართველოს შეუძლიათ, შექმნან ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რაც გაზრდის ქვეყნების ეკონომიკურ პოტენციალს.

ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ქართული საწარმოები სომხეთში ინვესტიციებს ახორციელებდნენ, ასევე იმაში, რომ სომხური საწარმოები ახორციელებდნენ ინვესტიციებს ქართულ საწარმოებში. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ურთიერთობების გაღრმავებას, მეორე მხრივ – გაღრმავდება ინტეგრაცია. მოხარული ვარ, რომ ამ თვალსაზრისით, სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის სრული ურთიერთგაგებაა და ჩვენ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას მომავალში ისეთი ნაბიჯების გადადგმაში შევთანხმდით, რომელიც ასეთ კავშირებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

**– სომხეთში იმპორტირებული ტვირთები საქართველოს გავლით ხვდება. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა სატრანსპორტო მონოპოლიები და რამდენად უშლის ეს ხელს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას?**

– საკითხი, რომელიც მე იმპორტთან და სომხეთიდან ექსპორტთან დაკავშირებით ბრიუსელში ჩემი ბოლო ვიზიტისას დავაყენე, შემდეგში მდგომარეობს – სომხეთი დღეს თურქეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან ბლოკადაშია, საერთაშორისო სანქციები, რომელიც ირანის მიმართ გამოიყენება, ირანსა და სომხეთს შორის საქონელბრუნვას ართულებს. ერთადერთი გზა, რომელიც სომხეთს მსოფლიოსთან აკავშირებს – საქართველოა. ასეთ სიტუაციას იქამდე მივყავართ, რომ სომხეთში საქმიანობის ბევრი სფერო უპერსპექტივო, არარენტაბელური ხდება, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას ამცირებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სომხეთში მონოპოლიების შექმნას. ეს ობიექტური პრობლემაა, რომელიც ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიის გავლით სატრანსპორტო ნაკადებს, აქ ჩვენი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ექსპორტიორებისა და იმპორტიორების მომსახურების გამარტივებაზე. ამ თვალსაზრისით, ჩვენ სწრაფად უნდა განვახორციელოთ ეფექტიანი რეფორმები, რათა საბაჟოზე მომსახურება იყოს გამჭვირვალე, სწრაფი და ხალხი კმაყოფილი დარჩეს.

**– როდის შეიძლება მოეწეროს ხელი სომხეთსა და საქართველოს შორის შეთანხმებას საბაჟო პუნქტებზე ერთობლივი კონტროლის შესახებ?**

– საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ჩვენ გამოვთქვით ორმხრივი დაინტერესება სომხეთსა და საქართველოს შორის საბაჟო პუნქტებზე ერთობლივი კონტროლის შესახებ ხელმოწერაზე. შესაბამის უწყებებს მიეცათ დავალება დოკუმენტების მომზადების შესახებ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს საბაჟო პუნქტებზე ერთობლივი კონტროლის განხორციელება. ჩვენ ამაში დაინტერესებული ვართ.

**– თქვენი აზრით, ქართულ-სომხური ეკონომიკურ ურთიერთობების ყველაზე დიდი პოტენციალი რაშია?**

– ჩვეულებრივად, მეზობლებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და ეს უპირველესად შედარებითი უპირატესობების ხარჯზე ხდება, რომელიც ამა თუ იმ მხარეს აქვს. საიდუმლო არ არის, რომ ყოველწლიურად სომხეთის ათასობით მოქალაქე საქართველოს შავიზღვისპირეთში ისვენებს. ამ თვალსაზრისით, ბათუმი – ახალქალაქის გზის მშენებლობა, რომელიც, თავის მხრივ, სომხეთთან დაკავშირებას გააიოლებდა, მკვეთრად გაზრდიდა სომხეთიდან საქართველოს შავიზღვისპირეთში ტურისტთა ნაკადს. ის საქონელი და მომსახურება, რომელიც საქართველოშია და სომხურ საქონელთან შედარებით მაღალი ხარისხისაა, სომხეთის ბაზარზე თავის ადგილს იპოვიდა. იგივე ეხება საქართველოში სომხური საქონლის მოხვედრას. კომფორტული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა ხელს შეუწყობდა ჩვენს ქვეყნებს შორის ინტეგრაციას.

**კობა ბენდელიანი**

## ხმა ქვეყნის გასაგონად!

**„კრიმინალური სამყაროს“ წინააღმდეგ „დაუნდობელი ბრძოლის“ გამოცხადებისა და პრეზიდენტ სააკაშვილის საყოველთაოდ ცნობილი „ნულოვანი ტოლერანტობის“ მიუხედავად, ე.წ. „ქურდულ სამყაროსა“ და მმართველ გუნდს შორის საკმაოდ მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ჟონავს.**

როგორც „პირველისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს, „ავსტრიის, გერმანიის, ესპანეთისა და საფრანგეთის სპეცსამსახურებს მთელი რიგი დასკვნები აქვთ მომზადებული აზერბაიჯანული, თბილისური და ქუთაისური კრიმინალური ჯგუფების შესახებ, რომლებიც ქვეყნის მმართველ პირებთან აქტიურად თანამშრომლობენ, ბიზნეს-სექტორში საკუთარი ინტერესები აქვთ, მათ შორის რამდენიმე მედიასაშუალებასაც აკონტროლებენ და ამა თუ სხვა გზებით სერიოზულ გავლენას ახდენენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე“.

„ამ მასალებში დეტალურად არის აღწერილი თითოეული მათგანის არა მარტო „კარიერა“, ოჯახური და სახლობლო წრეები, არამედ წეს-ჩვეულებებიც კი. ამ ადამიანებს აქვთ უნარი და შესწევთ ძალა, სიტუაცია საკუთარი თავის აფიშირების გარეშე აკონტროლონ. დასკვნებში მითითებულია ყველა ქართველი „კანონიერი ქურდის“ გვარი, რომელიც აქამდე გვსმენია, მათ შორის — ტარიელ ონიანისაც“, — განმარტა ხაჭაპურიძემ.

საქმეში ჩახედული პირები ხელისუფლების მხრიდან ე.წ. „კანონიერი ქურდების“ გავლენის სფეროებისა და კონტაქტების გამოყენებაზე დაბეჯითებით საუბრობენ და მაგალითისთვის „ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის ტარიელ ონიანის მიერ 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ დროს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ჯგუფის ფინანსური დახმარება“ მოჰყავთ.

გარდა ამისა, ისინი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსულ და ქართულ მხარეებს შორის მიცვალებულთა და ტყვეთა გაცვლის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების პირველ ეტაპზე საქმეში „კრიმინალურ ავტორიტეტ“ ვატო ყიფიანის საახლობლოსა და კრიმინალად შერაცხულ მარეკ დუდაევის ჩართულობაზე საუბრობენ.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის 25 ნოემბერს ცხინვალის რაიონის სოფელ არცევში მცხოვრებ მარეკ, იგივე ნოდარ დუდაევს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მკვლელობისთვის, გამოძალველობისა და ბანდიტიზმისთვის თავისუფლების 23 წლით აღკვეთა მიუსაჯა. კოკოითის სეპარატისტულმა მთავრობამ მისი ოსური მხარისათვის გადაცემის საკითხი საქართველოს ხელისუფლებასთან არაერთხელ დააყენა, მაგრამ უშედეგოდ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ვერც 2008 წლის ომის შემდეგ შედგა.

რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ „ქართული კრიმინალური სამყაროს ბოსად, მკვლელად და ქილერად“ გამოცხადებულ 32 წლის ვატო ყიფიანს, რომელიც ამ დროისთვის თანხის გამოძალვისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით მოსკოვის ციხეში საქართველოში ექსტრადირების მოლოდინში იმყოფება, არაოფიციალური ინფორმაციით, იგივე აგვისტოს ომის დროს იგი საქართველოს ხელისუფლებას ტყვეთა და დაღუპულთა გაცვლის პროცესში ციხიდან საკუთარი კავშირებით ეხმარებოდა და ამ მიზნით ციხიდანვე გენერალ ბორისოვს უკავშირდებოდა.

ცნობისთვის: ყიფიანი მაშინ სასჯელს სსკ-ის 236-ე — იარაღის უკანონო ტარების მუხლით იხდიდა და იმავე წლის 25 აგვისტოს პატიმრობიდან ე.წ. უდო-ს წესით გათავისუფლდა.

აღსანიშნავია, რომ ვატო ყიფიანის გვარი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის გიორგი დემეტრაძის საქმეშიც ამოტივტივდა, რომელსაც ქართველმა სამართალდამცველებმა „ქურდული ტრადიციების მიმდევრობა“ დასდეს ბრალად და ქართულმა მართლმსაჯულებამ თავისუფლების 5 წლით აღკვეთა მიუსაჯა.

ქართველმა სამართალდამცველებმა ყიფიანსაც „ქურდული სამყაროს წევრობა“ წაუყენეს ბრალად. საქალაქო სასამართლომ მას დაუსწრებლად ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, შს სამინისტრომ კი ძებნილად გამოაცხადა.

ამჟერად საქმე ეხება ე.წ. „ხელზე მაზით“ მოგებულ თანხებს, რომელთა უკანასკნელებს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე იულია ტიმოშენკოს გამარჯვება უნდა უზრუნველეყოთ“. „ეს იმთავითვე აბსურდი იყო, რადგან ქართველ კრიმინალებს საარჩევნო პროცესსა და შედეგებზე რეალურად არანაირი გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ. შესაბამისად, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ხელისუფლებამ კი ვატო ყიფიანის მეგობარი დემეტრაძე, ასე ვთქვათ, მძევლად აიყვანა“ — განუცხადა „პირველს“ ბრეგაძემ.

თუმცა დემეტრაძის ადვოკატი ამ ვერსიასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში უკრაინულმა მედიასაშუალებებმა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელის გივი თარგამაძისა და ვატო ყიფიანის ძმის კონსტანტინე ყიფიანის სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერები გაავრცელეს, რომელთა მიხედვით, თარგამაძე ყიფიანს ქართველი დამკვირვებლების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების მოგვარებაზე ესაუბრა.

# ძაღლიც კმაყოფილია და პატრონიც...



ასე იყო თუ ისე, ქართული მხარის მიერ მასზე ძებნის გამოცხადების შემდეგ ყიფიანი უკრაინიდან რუსეთში გადავიდა, ახლა კი უკვე რუსეთშია დაკავებული.

ექსპერტები ასევე ხელისუფლებისა და „ტყის ძმების“ მეთაურის დავით შენგელიას „თანამშრომლობის“ შესახებ საუბრობენ. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე არ გამორიცხავს, რომ სწორედ დავით შენგელიას გათავისუფლებას უკავშირდება ბოლო პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტერაქტების ორგანიზებაში ბრალდებული მერაბ ყოლბაიას, მეტსახელად „კოჭოს“ დაკავება, რომელიც გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში შენგელიას ციხიდან გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში აიყვანეს.

ცნობისთვის: შენგელია, რომელიც კონტრაბანდის, იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით 24-წლიან სასჯელს რუსთავის 32 დაწესებულებაში 2004 წლიდან იხდიდა, პატიმრობიდან ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო 2010 წლის 31 იანვარს გათავისუფლდა. ოფიციალური ინფორმაციით, მას სასჯელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შეფის ჭაკუას შუამდგომლობის საფუძველზე გადაუვადდა, არაოფიციალური ინფორმაციით კი, სასჯელი საერთოდ მოეხსნა.

ბუნებრივია, ოფიციალური ორგანოები ყოველივე ზემოაღნიშნულს უარყოფენ, ან ინფორმაციას საერთოდ არ გასცემენ. შესაბამისად, ეს ყველაფერი მხოლოდ ვერსიებია, მაგრამ თუ შალვა ხაჭაპურიძის ინფორმაციას დავიჯერებთ, უცხოელი სამართალდამცველებისთვის ეს ვერსიები სანდო აღმოჩნდა და მათ დასკვნებშიც აისახა.

ქართველი სამართალდამცველები კრიმინალზე კანონის გამარჯვებას დეკლარირებენ, თუმცა მილიციისა და პროკურატურის გადამდგარი თანამშრომლების აზრით, ორგანიზებული დანაშაულის კლება რეალურად „განგსტერებს“ შორის „მოლაპარაკებას“ უკავშირდება. გარდა ამისა, ისინი კანონსაც „მოერგნენ“ — საქმიანობა ლეგალური გახადეს და ხელი ბიზნესს მიჰყვეს. „კრიმინალების საქმიანობის დიდი ნაწილი ლეგალიზებულია და მათ სახელმწიფო სტრუქტურებშიც შეაღწიეს“ — ირწმუნებიან ყოფილი სამართალდამცველები.

ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტის აზრით კი, „კრიმინალური ავტორიტეტები“ ხელისუფლების ერთგვარ „ბასკერვილების ძაღლებს“ წარმოადგენენ, რომლებიც ქვეყნის მმართველებს „მოკლე თოკზე“ ჰყავთ დაბმული. საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლება თოკს აგრძელებს, მაგრამ ხელიდან არ უშვებს, დავალების შესრულების შემდეგ კი „ბასკერვილების ძაღლებს“ სადგომში აბრუნებს, რათა მუდამ კონტროლქვეშ ჰყავდეს. ამასთან, „ძაღლებს“ რიგიანად „კვებავენ“, ამდენად „ძაღლიც“ კმაყოფილია და „პატრონიც“.

ექსპერტი კონფლიქტების საკითხებში მამუკა არეშიძე აღნიშნულ საქმეში მარეკ დუდაევის მონაწილეობას კატეგორიულად გამორიცხავს, ყიფიანის შესახებ კი ინფორმაციას არ ფლობს.

„მიცვალებულებისა და ტყვეების გადმოყვანის შესახებ მოლაპარაკებების პროცესში მარეკის მონაწილეობა 1 000 პროცენტით შემიძლია გამოვრიცხო, რადგან იმ დროს ყველაფერს რუსი გენერლები წყვეტდნენ და არა ოსური მხარე. რაც შეეხება დაკარგულთა მოძიების პროცესში დუდაევის კონტაქტების გამოყენებას, ეს ნამდვილად არ არის გამორიცხული. რაც შეეხება ვატო ყიფიანს, ამ საქმეში მისი ჩართულობის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. სამაგიეროდ ვიცი, რომ მოლაპარაკებების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა მისი ძმა კონსტანტინე ყიფიანი. ვფიქრობ, ხელისუფლებას ამ დროს სჭირდებოდა სამოქალაქო, ნეიტრალური პირი, რომელსაც გარკვეული კონტაქტები ექნებოდა რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნებში, მაგრამ, ჩემი აზრით, ამავდროულად პროცესში აქტიურად იქნებოდნენ ჩართულნი ჩვენი ძალოვანებიც. კონკრეტულად რატომ გადადგა ეს ნაბიჯი ყიფიანმა თუ ყიფიანებმა, ჩემთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მათ პირველ ეტაპზე მიცვალებულთა გადმოსვენებისა და ტყვეების გადმოყვანის საქმეში მნიშვნელოვანი და პოზიტიური წვლილი შეიტანეს“, — განუცხადა „პირველს“ არეშიძემ.

ამოღების პროცესშიც, შსს-ს ინფორმაციით, ყიფიანის დავალებით დემეტრაძე და კიდევ ორი პირი — დავით გაგნიძე და სოდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი კახა მისირელი იყვნენ ჩართულები. მისირელი დაკავებიდან რამდენიმე დღეში სამედიცინო ცნობის საფუძველზე გაათავისუფლეს.

ფეხბურთელი დემეტრაძე თავის დაპატიმრებას სწორედ ვატო ყიფიანთან მეგობრობას უკავშირებს. როგორც „პირველს“ მისმა ადვოკატმა გიგი ზირაქაშვილმა განუცხადა, „გიორგი დემეტრაძის ბავშვობის მეგობარი ვატო ყიფიანი პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში უკრაინაში დემეტრაძის კუთვნილ ბინაში მასთან ერთად ცხოვრობდა და ეს ერთადერთია, რასაც გიორგი თავის დაპატიმრებას უკავშირებს, ვინაიდან არანაირ კრიმინალურ საქმეში პირადად მას მონაწილეობა არასოდეს მიუღია და შესაბამისად, მის საქმეში არც ამის დამადასტურებელი სამხილები მოიპოვება“.

ერთ-ერთი ოპოზიციონერი ლიდერის სანდრო ბრეგაძის ვერსიით კი, დემეტრაძე „ხელისუფლების მძევალი“ და „საქართველოს ხელისუფლებასა და უკრაინაში მოღვაწე ქართველ კრიმინალებს შორის გარიგების მსხვერპლია“. მისივე ინფორმაციით, „საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და უკრაინაში მოქმედ „კრიმინალურ ავტორიტეტებს“ შორის შეთანხმება შედგა, რომლის თანახმად, ამ

აღნიშნულ ვერსიას საკუთარი არგუმენტით ადვოკატი ლალი აფციაური ამყარებს. როგორც „პირველს“ ადვოკატმა განუცხადა, 2010 წელს გივი თარგამაძე ზემოთ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით კოტე ყიფიანის დახმარებით ე.წ. „კანონიერ ქურდ“ გიორგი ხმელიძესთან დაკავშირებას ცდილობდა, რომელსაც მისი კონტაქტები ოპოზიციონერ იულია ტიმოშენკოს სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა. „ხმელიძემ თარგამაძეს თხოვნაზე უარი უთხრა და სწორედ ამის შედეგია, რომ მის წინააღმდეგ იმავე წელს საქართველოში სისხლის სასართლის საქმე აღიძრა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოძიება ხმელიძეს გია კავჩელიშვილისთვის თანხის გამოძალვას ედავება, მაგრამ ფაქტია, რომ თავად დაზარალებული ხმელიძესთან არც ნაცნობობას და არც იმ ფაქტს ადასტურებს, რომ ეს პიროვნება მას თანხას სძალავდა. ამ დროისთვის ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე ხმელიძე ჩეხეთის რესპუბლიკაშია დაკავებული და ექსტრადიციის მოლოდინშია“, — აღნიშნა აფციაურმა.

**დიანა მუსელიანი,**
„პირველი“

## რეკომენდაცია

# სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა

**2011 წლის 29 მარტს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირებს: გიორგი ხარაბაძეს, აკაკი ჩიქოვანს და მერაბ ჭიქაშვილს.**

2011 წლის 26 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით გ.ხარაბაძესა და გ.ჭიქაშვილს შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღე-ღამის ვადით, ხოლო ა. ჩიქოვანს — 10 დღე-ღამის ვადით. მათ აღნიშნეს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში შეზღუდულია ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნების უფლება, შხაპის მიღების შესაძლებლობა, რის გამოც ვერ იცავენ პირად ჰიგიენას, ასევე ვერ ეცნობიან პრესას. გ.ხარაბაძემ განაცხადა, რომ სამი დღის განმავლობაში ითხოვდა ექიმთან შეხვედრას, რაც მოგვიანებით დაკმაყოფილდა. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმართა პროტესტის ზომას — შიმშილობას, თუმცა იგი სხვა საკანში არ გადაუყვანიათ და არც ექიმს უნახავს შიმშილობის დაწყების შემდეგ.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირები უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რომელიც მსჯავრდებულებს აქვთ. ისინი არა მარტო ყოველდღიური გასეირნების უფლებით უნდა სარგებლობდნენ, არამედ უნდა ჰქონდეთ საშუალება, შეხვდნენ ოჯახის წევრებს, იქონიონ სატელეფონო საუბრები და გარე სამყაროსთან კონტაქტი, რასაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სახალხო დამცველმა მრავალ საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურა არ იძლევა ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირების არა მარტო საერთაშორისო სტანდარტებით, არამედ ადგილობრივი ნორმებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების საშუალებას.

სახალხო დამცველი წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 თებერვლის №108 ბრძანების — „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებას. ამის მიუხედავად, ბრძანების ზოგიერთი ადგილი აშკარა შეუსაბამობაა საერთაშორისო სტანდარტებთან.

2010 წლის საპარლამენტო მოხსენებაში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, რომ ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირებისთვის სპეციალური დაწესებულებები შეიქმნას, რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც ადაპტირებული იქნება პირთა ხანგრძლივი განთავსებისთვის.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, საწყის ეტაპზე უზრუნველყოფილ იქნას ყველა იმ უფლების რეალიზება ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირებისათვის, რომელიც №108 ბრძანებითაა გათვალისწინებული.

ასევე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, უზრუნველყოს დაკავებულთა/პატიმართა ყველა უფლების ამსახველი ახალი ნორმატიული აქტის გამოცემა.

**ნატა ნიბლაძე**

ორმაგი სტანდარტი

# რატომ დაითხოვეს პროგრამიდან ინგლისური ენის უცხოელი მასწავლებელი?

**ნიკოლ ბეტფორდი ბაჰამის კუნძულებიდან ჩვენს ქვეყანაში „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის ფარგლებში მოხვდა. თუმცა ერთწლიანი კურსის ჩატარებაც ვერ მოასწრო, ისე დაითხოვეს პროგრამიდან. თავის ბლოგპოსტში ნიკოლი პროექტიდან გათავისუფლების მიზეზებზე საუბრობს და თავს აბსოლუტურად უდანაშაულოდ მიიჩნევს.**

**საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენლები გათავისუფლებულ მასწავლებელს სკაიპით დაუკავშირდნენ და მის ამბავს დაწვრილებით გაეცნენ.**

ცენტრის წარმომადგენლის ნინო ცაგარეიშვილის თქმით, ნიკოლ ბეტფორდს TLG-ის ხელმძღვანელობასთან პრობლემები პროგრამის დასაწყისშივე, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე შექმნია. ნიკოლის განცხადებით, პროგრამამ გამგზავრების თარიღი ორი დღით ადრე გამოაცხადა, როცა მონაწილეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სამგზავრო ბილეთები. გაღიზიანებულმა ნიკოლმა „ფეისბუქზე“ დაახლოებით ასეთი შინაარსის სტატუსი განათავსა: „რა დაემართა პროფესიონალიზმს, თავაზიანობას, დროულობასა და გონივრულობას?“

სტატუსის გამოქვეყნებიდან ერთ საათში ნიკოლს დაუკავშირდა ლარისა შირბა Footprints Recruiting-დან (TLG-ის პარტნიორი ორგანიზაციაძ და აცნობა, რომ ფეისბუქზე გამოქვეყნებული სტატუსის ნიადაგზე TLG-მ გადაწყვიტა მისი აპლიკაციის გადასინჯვა. ლარისამ ნიკოლს ურჩია, ბოდიში მოეხადა პროგრამის ხელმძღვანელობისთვის და მომავლაში უფრო ფრთხილად მოქცეულიყო კულტურული განსხვავებების გამო. ნიკოლი ასეც მოიქცა. ლარისას მიერ მითითებულ პირს მაილი გაუგზავნა, რომელშიც ბოდიშს იხდიდა „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული სტატუსის გამო.

**ნიკოლის ბოდიშმა სიტუაცია განმუხტა და მას პროგრამაში მონაწილეობის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცა. თუმცა, პრობლემები გაგრძელდა საქართველოში ყოფნის დროს. ნიკოლის გვერდს „ფეისბუქზე“ აქტიურად აკონტროლებდნენ, რასაც ადასტურებს TLG-ის ხელმძღვანელობის მიერ „ფეისბუქზე“ განთავსებული სტატუსის წაშლის მოთხოვნის ფაქტი. აღნიშნული სტატუსი შეეხებოდა მეათეკლასელ ბიჭებს, რომლებიც, ნიკოლის განცხადებით, სკოლის დერეფნებში დაედევნენ მისი კანის ფერთან დაკავშირებული რასისტული გამონათქვამებით და თან სქესობრივი კავშირის დამყარებას სთხოვდნენ. ნიკოლმა ამ ფაქტზე აღშფოთება კვლავ „ფეისბუქზე“ სტატუსით გამოხატა და მათ „უხეში და საზიზღარი“ ბავშვები უწოდა.**

ნიკოლი ამბობს, რომ მას ტელეფონით დაუკავშირდნენ TLG-დან და სთხოვეს, სტატუსი წაეშალა, რადგან ამას შეიძლებოდა ბავშვების მშობლები გაენაწყენებინა. ის იძულებული გახდა, კიდევ ერთხელ დამორჩილებოდა TLG-ის მოთხოვნებს და სტატუსი წაშალა. ამის შემდეგ TLG-ის თანამშრომლები ერთი ჯგუფში გააერთიანა, რომლისთვისაც „ფეისბუქის“ კედელი დაბლოკა 2010 წლის ნოემბერში.

24 დეკემბერს ნიკოლი საშობაო არდადეგებზე შინ გაემგზავრა. არდადეგების დასრულების შემდეგ, ნასაუდან ლონდონში გადაფრინდა, ლონდონი-თბილისის რეისით კი საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო. აეროპორტში ბარგის ჩალაგებამდე, მან ე-მეილი შეამოწმა და წააწყდა წერილს მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. წერილის თანახმად, მას ათავისუფლებდნენ შრომითი ხელშეკრულების მე-8 მუხლის თანახმად: „დასაქმებულის ქცევა შეუფერებელია „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამისათვის ხელშეკრულების მთელი მოქმედების მანძილზე. „ჩვენი გადაწყვეტილება განაპირობა TLG პროგრამის წინააღმდეგ ფეისბუქზე განთავსებულმა მრავალრიცხოვანმა დამამცირებელმა და შეურაცხმყოფელმა კომენტარებმა. პროექტისთვის მიუღებელია ისეთი მოხალისე, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს პროგრამას და საჯაროდ არცხვენს მას. ჩვენი შეფასებით, ასეთი დამოკიდებულებით შენ ვერ შეძლებ ჩვენი მიზნების აღსრულებას და შრომითი ურთიერთობა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ჩვენი სკოლის მოსწავლეების მომავალს ვერ მივანდობთ მასწავლებელს, რომელიც მათ ქვეყანასა და ხალხს შეურაცხყოფს.

ეს არ არის პროექტის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამოხატვის პირველი პრეცედენტი. პროგრამის დასაწყისში TLG-მ მოგცა დრო და შანსი შეჰგუებოდი ადგილობრივ ტრადიციებსა და ცხოვრების წესს. ეს იყო მიზეზი იმისა, თუ რატომ არ შეწყდა კონტრაქტი პროგრამის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების პირველივე გამოხატვისთანავე“, – ნათქვამია გათავისუფლების ცნობაში.

ნიკოლი აცხადებს, რომ წარმოდგენა არა აქვს რას გულისხმობს TLG დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ განცხადებებში. მან პროგრამის ხელმძღვანელობას საპასუხო წერილი მისწერა და სთხოვა მისთვის განემარტათ, ზუსტად რაში გამოიხატა შეურაცხმყოფელი ქცევა. თუმცა, წერილზე პასუხი არ მიუღია.

ინგლისურის ყოფილი მასწავლებელი ამბობს, რომ „ფეისბუქი“ მის პირად სივრცეს განეკუთვნებოდა, რადგანაც იგი დახურული იყო, როგორც გარეშე პირთათვის, ასევე TLG-ის თანამშრომლებისა და მოსწავლეთათვის. იგი გათავისუფლებას არაეთიკურად და უსამართლოდ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება დაირღვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი TLG-ს პროგრამის სამართლებრივ მრჩეველს თამარ მამფორიას დაუკავშირდა, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ინფორმაციას ამ საკითხზე ვერ მოგცემთ. არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ საკითხზე საუბარი. ნიკოლთან ჩვენმა ორგანიზაციამ თავად გაარკვია ეს საკითხი. ნიკოლი არის პრობლემური ადამიანი და ამიტომ დატოვა პროექტი. უსამართლოდ ჩვენ არავის ვითხოვთ. ჩვენი ბოლო ალტერნატივა გათავისუფლებაა, მისი პროექტიდან წასვლა თავისივე ბრალი იყო. სხვას ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლებას, იგი არსებობს მანამ, სანამ არ შეიჭრება მეორე პირის უფლებაში. მისი უფლებების დარღვევას ჩვენი მხრიდან არანაირად არ ჰქონდა ადგილი“.

კითხვაზე, თუ რაში გამოიხატა „სხვის უფლებებში შეჭრა“, თამარ მამფორიამ კონკრეტიკისაგან თავი შეიკავა. „დეტალებზე არ დაგელაპარაკებით. ეს ის არის, რაც გითხარით. მეტს ვერაფერს გეტყვით“, – უპასუხა მან.

**რას ითხოვდნენ პედაგოგისგან „უხეში და საზიზღარი“ ბავშვები?**



**ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ პედაგოგი უსაფუძვლოდ არის გათავისუფლებული და უცხოელი მასწავლებლის გამოხატვის თავისუფლება პროგრამის ორგანიზატორებმა აშკარად დაარღვიეს. მაგრამ ჩვენთვის ის უფრო საინტერესოა, რატომ არ მოჰყვა იგივე რეაქცია პროგრამის მენეჯერთა მხრიდან ინგლისურის მასწავლებლის ვინმე ფლეთჩერის ქმედებას, რომელსაც მშობლები მისი არატრადიციული ორიენტაციის გამო უჩიოდნენ?! რისთვისაც მას დიმიტრი შაშკინმა მადლობაც კი გადაუხადა?! არა მგონია, საქართველოს მენტალობისთვის კანის ფერი მიუღებელი იყოს. რაც შეეხება ორიენტაციას, ის ნამდვილად არის საზოგადოების ქმედების განმსაზღვრელი. ბეტფორდი პრეტენზიების გამო დაითხოვეს, ფლეთჩერს კი, ალბათ, მალე „გმირობისთვის“ დააჯილდოვებენ... პარადოქსია!**

**თეა მოსია**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# ქვეყნისათვის ერთობ საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელეს

**„დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და მისი ნორმალიზების ღონისძიებათა სისტემა“ — ასეთ საკითხზე მოისმინა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მორიგ სხდომაზე წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას მოხსენება.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში დღეისათვის შეიქმნა მწვავე დემოგრაფიული ვითარება, რაც გამოიხატება მოსახლეობის ბუნებრივი მატების თითქმის ნულოვან ზღვარზე ყოფნით. ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგებიდან უნდა გამოვყოთ: „მომავალში („სანუგეშოდ“, შორეულ პერსპექტივაშიძ ავტოქთონური (ადგილობრივიძ, მოსახლეობის გენოფონდის გადაშენების რეალური საფრთხე; სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის ხვედრითი წონის მკვეთრი შემცირება, ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში ქართული ეთნოსის თანდათანობით კლების მოსალოდნელობა; მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაცია და დემოგრაფიული დაბერება, დასაქმებულთა დემოგრაფიული დატვირთვის ზრდა, რაც ქმნის თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს და სხვა.

ახლანდელი მძიმე დემოგრაფიული ვითარების ნორმალიზებისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც რამდენიმე ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართოს:

ოჯახში ოპტიმალური ოდენობით ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება შესაბამისი რეპროდუქტიული განწყობისა და ქცევის ჩამოყალიბებით. ეს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა, თუმცა შედეგი თავს გვიან იჩენს.

ბავშვთა ყოლის ჩამოყალიბებული მოთხოვნილების — შვილების სასურველი ოდენობის პრაქტიკული რეალიზება — იგულისხმება მოსახლეობის გამრავლების მატერიალური სტიმულირება; ახალშექმნილი ოჯახებისათვის ხელის შეწყობა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაში; მესამე და მომდევნო შვილების გაჩენა-აღზრდისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, სპეციალობის მიხედვით დასაქმება, ახალგაზრდების გარემიგრაციის შემცირება; ფერტილური (მშობიარობის უნარისძ ასაკის ქალებისათვის შრომისა და საოჯახო-ყოფითი ისეთი ხელსაყრელი პირობების შექმნა, მათ რომ დედობისა და პროფესიული საქმიანობის რაციონალური შეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს.

ახალი სოციალურ-დემოგრაფიული დარაიონება და თითოეული რაიონისათვის დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება, მოსახლეობის თვითშენახვითი ქცევის დამკვიდრება, შობადობის გაზრდის კეთილშობილურ საქმეში ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენება.

მოსახლეობის გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ჰომოსექსუალიზმი, გოგონებში „სიგარეტობანა“ და სხვაძ ნეგატიური ტენდენციებს წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების განხორციელება.

ბატონი ლეოს საგულისყურო მოხსენებას ჩვენი ერისათვის ასეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე მოჰყვა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი შეკითხვა, აზრის გამოთქმა და წინადადების წამოყენება (აკადემიკოსები თამაზ გამყრელიძე, ფრიდონ თოდუა, მალხაზ ზაალიშვილი, როინ მეტრეველი, მინდია სალუქვაძე, წევრ-კორესპონდენტები თამაზ იამანიძე, ლადო პაპავა, რომან შაქარიშვილი, პროფესორები ვაჟა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჭითანავაძ.

აკადემიური საბჭოს დადგენილებით მოწონებულ იქნა ლეო ჩიქავას მოხსენება „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და მისი ნორმალიზების ღონისძიებათა სისტემა“ და საგანგებოდ აღინიშნა, რომ მასში მოცემულია ფრიად საგულისხმო დასკვნები ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

**ჩვენი სპეც. კორ.**

ინფორმაცია

## ოკუპანტები „ნაგვალუს“ პოლიგონზე იწვრთნებოდნენ

**აფხაზეთში მდებარე „ნაგვალუს“ სამხედრო პოლიგონზე რუსმა ოკუპანტებმა რამდენიმედღიანი სამხედრო წვრთნა დაასრულეს.**

**— რუსეთის თავდაცვის სამინისტრო რამდენიმე დღის განმავლობაში ატარებდა ორმხრივ ტაქტიკურ წვრთნას აფხაზეთში მდებარე რუსულ სამხედრო ბაზაზე, — ნათქვამია სამხრეთ ფედერალური ოლქის საინფორმაციო ჯგუფის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**მათივე ინფორმაციით, წვრთნა პოლიგონისაკენ 100-კილომეტრიანი მარშით დაიწყო და სამხედრო მძღოლების გამოცდა გახდა. „ამ გამოცდას ახალგაზრდა მძღოლებმა წარმატებით გაართვეს თავი, — ნათქვამია განცხადებაში და იქვე აღნიშნულია, რომ თავად პოლიგონზე, ორი დღის განმავლობაში მუშავდებოდა თავდაცვისა და იერიშის უნარჩვევები, იხვეწებოდა იარაღისა და სამხედრო ტექნიკის გამოყენების გამოცდილება და საფორტიფიკაციო ნაგებობების გამოყენება“.**

ჯი-ეიჩ-ენი

## რა იქნება ხვალ?

**თბილისთან შედარებით რუსთავში ყოველთვის იყო წყლის პრობლემა, რომელი წყალიც წლების მანძილზე მოსახლეობას გრაფიკით მიეწოდებოდა, რის გამოც ქალაქი მუდამ იდგა ეპიდემიის გავრცელების საშიშროების წინაშე. გადასახადი ჯერ 30 თეთრი იყო, შემდეგ — 50, 2007 წლის ბოლოს ქალაქის მერიამ დავალიანება დაფარა და „რუსთავის წყალი“ რუსულ კომპანიაზე გაიყიდა. ინტერნეტსაიტზე გაჩნდა განცხადება ამის თაობაზე და იმაზეც, რომ დავალიანება წყლის გადასახადზე ჩამოწერილია.**

# რატომ სთხოვენ რუსთაველებს მრიცხველებში უკანონოდ 100-100 ლარს?



2008 წელს „რუსთავის წყალმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც მოსახლეობისთვის 30-პროცენტიან შეღავათს აწესებდა და მრიცხველების უფასოდ დამონტაჟების პირობასაც იძლეოდა, ხოლო ვინც ერთბაშად გადაიხდიდა დავალიანებას, ის 50-პროცენტიან შეღავათს მიიღებდა.

საერთოდ ჩვენი ქალაქი მთელს რესპუბლიკაში ცნობილია თავისი ნოვაციებით. თუ რაიმეს დანერგვა უნდა მთავრობას, ჯერ რუსთავში უნდა განახორციელოს.

იმ პირობით, რომ მოსახლეობას 24-საათიანი წყალმომარაგება ექნებოდა, კომპანიამ წყალზე გადასახადი გაზარდა. იგი თავდაპირველად სულზე 2 ლარსა და 60 თეთრს შეადგენდა, შემდეგ კი 3 ლარს, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას, რომლის 80 პროცენტი დღეს დაუსაქმებელია. საქართველო, რომ იტყვიან, წყალს მიაქვს და რამდენად მიზანშეწონილია წყალსა და შუქზე ამხელა ტარიფი?

მარტის ბოლოს კი რუსთავის მერიამ და „რუსთავწყალის“ კომპანიამ ახალი სადამსჯელო ღონისძიება წამოიწყეს — წყლის მრიცხველების სადარბაზოებში დამონტაჟება. გვახსოვს, როცა დენის და გაზის მრიცხველები გაიტანეს, მოსახლეობას ერთი თეთრიც არ გადაუხდია. წყლის მრიცხველებზე კი 60 ლარს ითხოვენ, იმ შემთხვევაში, თუ მობინადრეს მრიცხველი აქვს. მათთვის კი, ვისაც მრიცხველი არა აქვს, 100 ლარი დააწესეს. არავის აინტერესებს, საიდან უნდა გადაიხადოს მოსახლეობამ 100 ლარი (მათ უმრავლესობას მრიცხველი არა აქვსძ, ან ვინ დაანგრევინებს მათ ბინას ორ-სამ ადგილას. მით უმეტეს, რომ მრიცხველების დამონტაჟება მოსახლეობის ინტერესებში არ შედის. ეს კარგად გამოჩნდა ამ დღეებში ერთი სახლის მაგალითზე.

7 მარტს მე-16 მიკრორაიონის №7 სახლთან მივიდა მერიის მი-

### მაინცდამაინც მიტინგი და „სახალხო კრების“ ჩარევაა საჭირო სიმართლის დასადგენად და სამართლიანობის აღსადგენად?

ერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია და ის პირობები შესთავაზა მობინადრეებს, რაც ზემოთ მოგახსენეთ. როცა იგი მოსახლეობისგან წინააღმდეგობას წააწყდა, საშველად მერიაში დარეკა. მაშველებიც მალე გამოჩნდნენ: დაცვის პოლიცია, პატრული და კრიმინალური პოლიცია ცდილობდნენ, ზეწოლით მიეღოთ მოსახლეობის თანხმობა. მობინადრეებმა, თავის მხრივ „სახალხო კრების“ რუსთავის ორგანიზაციას მიმართეს. იმ დღეს თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, მაგრამ მხოლოდ... ერთი შეხედვით. ღამის 1 საათზე მერიის დავალებით გაგზავნილმა ჯგუფმა მოსახლეობას მალულად გადაუჭრა ჭაში მილი, საიდანაც ცხრასართულიანი სახლის ექვს სადარბაზოს მიეწოდებოდა წყალი. ამ ბინის მცხოვრებნი მთელი 3 დღე ეზიდებოდნენ წყალს ვედროებით, მათი ნაწილი ამაოდ ცდილობდა, აეხსნა მერიისა და კომპანიის ხელმძღვანელობისთვის პროტესტის მიზეზები. ასევე ითხოვდა, მათი არჩეული დეპუტატის, ამჟამად საკრებულოს თავმჯდომარის კახა გურგენიძის ადგილზე მისვლას.

30 მარტს დილიდანვე მივიდნენ მათთან ეგრეთ წოდებული კორპუსის წარმომადგენლები და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრები, რომლებიც ცდილობდნენ, დაეყაბულებინათ მცხოვრებლები, წასულიყვნენ მერიაში მოსალაპარაკებლად. მოსახლეობა არ თმობდა პოზიციებს და ადგილზე ითხოვდა ხელმძღვანელობის მისვლას.

უნდა ითქვას, რომ „სახალხო კრების“ წევრებს ერთი წუთით არ მიუტოვებიათ ამ კორპუსის მცხოვრებნი. ისინი ოთხი დღის განმავლობაში მათ გვერდით იდგნენ და ამხნევებდნენ, 30 მარტს კი დილითვე დარეკეს „სახალხო კრების“ სათავო ოფისში. დედაქალაქიდან ჩამოვიდნენ „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრი შალვა ოზგაიძე, „სახალხო კრების“ რუსთავის და ქვემო ქართლის კოორდინატორი ლაშა ამირეჯიბი. ასევე ტელეკომპანიები და სხვადასხვა გაზეთის ჟურნალისტები. ბრიფინგის ჩატარებამდე ისინი გაესაუბრნენ მოსახლეობას.

— სამადლოდ ვცხოვრობ სხვის ბინაში. მყავს მეუღლე და ორი შვილი. არც ერთი არ ვმუშაობთ, რითი გადავიხადო 100 ლარი?

— ძლივს დავამთავრე წლების წინათ დაწყებული რემონტი. ცოცხალი თავით არ შევუშვებ არავის და არ დავანგრევინებ წვალებით გაკეთებულ რემონტს.

— კვირაში სამი დღე არ გვაქვს წყალი, ღამითაც არ მოდის. შარშან ზაფხულში მთელი 4 თვე გრაფიკით მოგვეწოდებოდა. გადასახადს კი ჩვეულებრივ ვიხდიდით. ამ დაბინძურებული წყლის გამოა, რომ ჩვენი პატარები დისბაქტერიოზით არიან დაავადებულნი.

ენერგეტიკის, გაზისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით, მიმწოდებელს დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაშიც კი არა აქვს უფლება წყალი შეუწყვიტოს მოსახლეობას.

ბატონი შალვა ოზგაიძე დაუკავშირდა ენერგომომარაგების მარეგულირებელი კომისიის თანამშრომელს სოფიო ფორჩხიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ **არავის აქვს წყლის გადაკეტვის უფლება და არც მრიცხველების გამოტანისთვის უნდა გადაახდევინონ თანხა ხალხს**.

ამის შემდეგ მთელი დღე ელოდა მოსახლეობა მერიიდან ან კომპანია „რუსთავის წყლიდან“ რომელიმე ხელმძღვანელის მისვლას, მაგრამ არავის შეუწუხებია თავი. გვიან საღამოს როგორც იქნა მიიღეს ნანატრი წყალი, თუმცა არსებული პრობლემა ამით არ გადაჭრილა.

ჩვენ კი, სხვა რა დაგვრჩენია, უნდა დაველოდოთ მოვლენების შემდგომ განვითარებას.

**ალმარ ლომიძე,**
**„სახალხო კრების“ რუსთავის ორგანიზაციის კომიტეტის წევრი.**

## საredაქციო ფოსტიდან



# დუტა სხირტლაძისგან თელაველები ასეთ „სპექტაკლს“ ნამდვილად არ ელოდნენ...

**მკითხველი რომ თავიდანვე საქმის კურსში შევიყვანოთ, მოგახსენებთ, რომ თელავის თეატრის ცხოვრება, მისი ავ-კარგი ჩემთვის სრულებითაც არ არის განურჩეველი. და, აი, რატომ: 1980 წელს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალებით თეატრის „დაკონსერვებული“ მშენებლობა უნდა აღგვედგინა და ობიექტი ექვს თვეში საექსპლუატაციოდ გადაგვეცა.**

ამ დავალების შესრულებას მთელი სერიოზულობით შეუდგნენ მშენებლობის სამინისტროს ადგილობრივი სამშენებლო ორგანიზაცია, მისი ხელშემწყობი და თანამოიჯარადე ორგანიზაციები, მათ შორის, მთავარკაპმშენი, მთავარმონტაჟმშენი, თეატრმონტაჟი, მატერიალური მომარაგების მთავარი სამმართველო, კულტურის და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები, თვით ქალაქის ხელმძღვანელობა და, ასე გასინჯეთ, თეატრის დასიც კი.

პირადად მე ამ საქმიანობას ვკურატორობდი საქართველოს მთავრობიდან. ბევრი ამ მშენებლობაზე მოღვაწე პირი, მათ შორის, მთავარი მშენებელი ივანე ბეჟუაშვილი, მთავარკაპმშენიდან ანზორ ხოხობაშვილი და გივი მექვრლია, მხატვარი იური ქლიბაძე, არქიტექტორი გია ცხაკაია, თელავის რაიაღმასკომის მაშინდელი თავმჯდომარე ალექსანდრე მარგალიტაშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე ვლადიმერ იაქაშვილი და მშენებლობის დიდი მოამაგე მედეა მეზვრიშვილი ცოცხალი აღარ არის. აღარ არის ცოცხალი დიდად ღვაწლმოსილი ადამიანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იმდროინდელი მოადგილე იური ქედიშვილი...

თითოეული ქვა, ლითონი, ცემენტი, აგური, მინა და, ბოლოს, მოწყობილობა, ავეჯი და, ეგრეთ წოდებული, თეატრის „ჩაცმულობა“ ამ ადამიანების გარჯით იქნა მოპოვებული. ამას დაადასტურებენ მშენებლობისთვის არანაკლებ ნაღვაწი, რაიონისა და ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელები ალექსანდრე კობაიძე და ოთარ გულიაშვილი, არქიტექტორი გრიგოლ ჯაბუა. ეს ის ხალხია, ვისაც თელავის თეატრისადმი პატივისცემა მის მშენებლობაზე გაწეული ღვაწლის გამო დღემდე შერჩათ.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად გავიხსენებ ჩემი, როგორც მშენებლობის კურატორის, საუბარს ჟურნალისტთან, რომელიც 1980 წელს ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა. გთავაზობთ ამონარიდს ამ საუბრიდან: **„... შესანიშნავ ქალაქში ცხოვრობთ თქვენ, თელაველებო! ნუ გვიწყენთ, თუ მშობლიური ქალაქის სიყვარულში „ჩამოსულები“ შეგეცილოთ. ჩვენ ხომ თქვენთან კეთილი საქმისთვის ჩამოვედით, თეატრის მშენებლობის წარმატებით დამთავრება თქვენზე ნაკლებად არც ჩვენ გაგვიხარდება“.**

**„... ჩვენი სურვილია, ამ დიდებულ ნაგებობაში მუდამ ხალხმრავლობა იყოს, რაც განპირობებული იქნება მაღალიდეური, მაღალმხატვრული სპექტაკლების დადგმით. ასევე გვსურს, რომ ახალმა თეატრმა თელავის საზოგადოებაში დაისაკუთროს განსაკუთრებული ადგილი და უფრო მეტად შინაარსიანი და მიზანსწრაფული გახადოს თელაველთა დასვენება და კულტურული ცხოვრება“.**

დღეს, როდესაც გახმაურდა ამბავი თეატრის კოლექტივსა და მმართველს შორის ურთიერთობის დაძაბულობის შესახებ, მოვუწოდებ როგორც სამხარეო ადმინისტრაციისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ასევე რესპუბლიკის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს თეატრალური საზოგადოების შესაბამის სამსახურებს, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ამ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

ბატონ დუტა სხირტლაძეს საკმაო წარმატებები და პოპულარობა აქვს მოპოვებული საბავშვო სატელევიზიო გადაცემებში, სარეკლამო ხელოვნებაში, არის კარგი კონფერანსიე, რამდენიმე როლიც ბრწყინვალედ აქვს განსახიერებული თეატრსა და კინოში, მაგრამ თეატრის კოლექტივის ხელმძღვანელობა, მით უმეტეს, რეჟისორული საქმიანობა, რთულია, მეტ ცოდნას მოითხოვს და მის გამოცდილებას, ალბათ, სჭარბობს. ასე რომ, ამ თანამდებობაზე მისი მოღვაწეობის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხი, სათანადო კვალიფიკაციის ამაღლებამდე და გამოცდილების მიღებამდე მაინც, რბილად რომ ვთქვათ, გადახედვას ექვემდებარება.

„სპექტაკლმა“, რომელიც დუტა სხირტლაძემ თელავის თეატრში დადგა, აშკარად საეჭვო გახადა მისი ამ თეატრის მმართველობა...

კეთილი სურვილებით,

**რევაზ ტყემალაძე.**
ქ.თბილისი

## ინფორმაცია

# ნატო კომპრომისზე არ მიდის

**სამხრეთ კავკასიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ალიანსი კომპრომისზე არ წავა.**

**— ნატო კომპრომისზე არ წავა ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ალიანსის წევრი ქვეყნების პოზიციაა, რომ არასდროს ვაღიარებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, — განაცხადა თბილისში ვიზიტით მყოფმა აპატურაიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.**

**ნატო ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის გამო საქართველოს მთავრობას მადლობას კიდევ ერთხელ უხდის. ამჯერად ალიანსის გენერალური მდივნის სახელით ქართულ მხარეს მადლობა ჯეიმს აპატურაიმ გადაუხადა.**

**— გენერალური მდივნის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისთვის. იქ თქვენი ათასამდე ჯარისკაცი მსახურობს და ეს ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ძალიან დიდი რაოდენობაა, — განაცხადა მან და აქვე სამშვიდობო მისიის შესრულებისას საქართველოს შვიდი მოქალაქის დაღუპვის გამო მწუხარება გამოთქვა.**

**მისივე განმარტებით, ნატომ უკვე დაიწყო გარდამავალ ეტაპზე გადასვლა და 2014 წლამდე ავღანეთში მშვიდობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობას ქვეყნის მთავრობა გადაიბარებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჟურნალისტური გამოძიება

**ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გატაცება მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომლებსაც ეფექტურად იყენებს პირადი პიარისთვის. ეს ეგრეთ წოდებული „გატაცების პროექტები“, რომელთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს, საქართველოს მოსახლეობის თვალწინ „საპნის ბუშტებივით“ სკდებიან, რაც დიდად აზარალებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხოლო სახელისუფლებო გუნდის წევრთა ჯიბეებს არამი ფულით ავსებს.**

**შექმნილი ვითარება ადასტურებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, მისი გუნდის წევრების, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სასამართლოს ხელმძღვანელთა მხრიდან უხეშად ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, მაგრამ ქვეყნის დამაქცევარი პოლიტიკის გამო პასუხს რატომღაც არავინ აგებს.**

ამის დასტურია ჩვენი სააგენტოს მიერ დაწყებული მორიგი ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც შეეხება შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზის „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს. იგი დაიწყო 2010 წელს და დღემდე გრძელდება. ამის მიუხედავად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ორჯერ შეიყვანა შეცდომაში საზოგადოებრიობა, როცა განაცხადა, რომ თბილისსა და თელავს შორის აღდგა უმოკლესი მანძილით უხიფათო და მოხერხებული საავტომობილო მიმოსვლა. ეს მაშინ, როცა ამ გზაზე პრაქტიკულად არ არსებობდა საგზაო ნიშნები, საორიენტაციო ბოძკინტები, ბორდიურები, აქ მხოლოდ 2010 წლის სექტემბრიდან დაიწყო ინტენსიური საავტომობილო მოძრაობა. პრეზიდენტის ცდუნებაში, რა თქმა უნდა, ბრალი მიუძღვით საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრს რამაზ ნიკოლაიშვილს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს მამუკა ლეჟავას, რომლებსაც პირადი ინტერესები და განდიდების მანია ამოძრავებდათ.

როგორც ჩვენმა სააგენტომ დაადგინა, საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 11 ივნისს მიიღო № 397 გადაწყვეტილება „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნით დეტალური პროექტის (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ჩათვლით) მომზადების თაობაზე. ამის საფუძველზე, თავის მხრივ, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი) მიიღო გადაწყვეტილება ამ გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის შესახებ, მაგრამ არ შეუდგენია კონკრეტული სამუშაო გეგმა, რომელიც აუცილებლად უნდა დაემტკიცებინა ფინანსთა სამინისტროს, რათა გზის სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეტაპობრივად დაფინანსებულიყო. გეგმაში ნათლად უნდა ჩანდეს, რა თანხებს საჭიროებს საპროექტო, მშენებლობისა და ტექზედამხედველობის სამუშაოები. თავის მხრივ, ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, ბუნებრივია, უნდა უპასუხებდეს ამ მოთხოვნებს.

**ასეთი უხეში კანონდარღვევის შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ხსენებული გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება დაიწყო 2008 წლიდან, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 3,7 მილიონი ლარი, რაც დამატებით გამოსაძიებელია. იმ ეტაპზე ფინანსთა სამინისტრომ საავტომობილო გზების დეპარტამენტზე (მაშინდელი თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი) გასცა მსოფლიო ბანკისგან გამოყოფილი მიზნობრივი („ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია) კრედიტი 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. შესყიდვებისთვის გაფორმდა 22,856 მილიონი ლარის ღირებულების ხელშეკრულება, რითაც დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლი, რომელიც ავალდებულებს შემსყიდველს, იმოქმედოს წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. შესაბამისად, 2008-2009 წლებში შესყიდვების პროცედურები გეგმის გარეშე განხორციელდა და საერთო ჯამში მან შეადგინა 24,801 მილიონი ლარის ღირებულების სამუშაოები.**

„ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზასთან დაკავშირებით ჩატარდა **სამი ტენდერი. პირველი ტენდერი** გაიმართა 2008 წელს ამ გზის 58-67,4 კმ. მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2008 წლის 23 ივნისს მიმართა ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ხარჯვის თაობაზე, მაგრამ არ დაელოდა თანხმობას და ორ დღეში დაამტკიცა სატენდერო დოკუმენტაცია.

ხსენებული ტენდერი პირველ ეტაპზე ჩაიშალა, ვინაიდან, სატენდერო კომისიის შეფასებით, პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ფასი მნიშვნელოვნად აღემატებოდა დეპარტამენტის ფინანსურ შესაძლებლობებს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტს არ შეუცვლია სატენდერო პირობები და ოთხი თვის შემდეგ კვლავ გამოაცხადა ტენდერი. რამდენიმე სხდომის ჩატარების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება და გამარჯვებულად დაასახელა შპს „მტკვარი“. თუმცა ამ გადაწყვეტილებაში არ ჩანს დასაბუთება იმისა, თუ შპს „მტკვარს“ რისთვის მიენიჭა უპირატესობა, რითაც დაირღვა შესყიდვების შესახებ კანონის მე-15 მუხლის მე-8 ნაწილი. დარღვეულია ამავე მუხლის მე-10 ნაწილიც, რომლის მიხედვით აუცილებელია, ოქმში იყოს პრეტენდენტის ვალდებულებათა მოკლე აღწერა.

რიგით **მეორე ტენდერი** დაუკავშირდა სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებას, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და საავტორო ზედამხედველობის მომსახურების გაწევის შესყიდვას. ამ შემთხვევაშიც ვაწყდებით ანალოგიურ დარღვევებს, რაზეც პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ.

უხეში შეცდომები დაუშვეს სატენდერო განაცხადის გამოქვეყნების პროცესშიც. საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესების თანახმად, ინფორმაცია საერთაშორისო ტენდერის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს უცხო ქვეყნების მასობრივ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემებში, რასაც ითვალისწინებს შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი განცხადების ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათის“ ქართულ და ინგლისურ ვერსიებში. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტი და სატენდერო კომისია თავიდანვე ორიენტირებული იყვნენ საეჭვო წარმოშობის დაბალკვალიფიციური ფირმების მოზიდვაზე, რომლებიც იოლად მიდიან დამკვეთთან არაკანონიერ გარიგებებზე.

ტენდერში მონაწილეობდა ხუთი ორგანიზაცია: შპს „ტრანსპროექტი“, „კოქს კონსალტინგი“, შპს „გზაპროექტი“, შპს „ვეგ ინტერნეიშენელი“, შპს „საქგზამეცნიერება“. კომისიური განხილვის შედეგად დარჩა მხოლოდ პირველი სამი ორგანიზაცია, ბოლოს კი გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ტრანსპროექტი“.

ამ შემთხვევაშიც დაირღვა საქართველოს კანონი შესყიდვების შესახებ. კერძოდ, სატენდერო კომისიის დასკვნაში ნაჩვენები არ არის უპირატესობის მინიჭების საფუძვლები. რაც მთავარია, გამარჯვებული მოითხოვდა 1,944 მილიონ ლარს, მაშინ როდესაც საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსური შესაძლებლობა 1,6 მილიონ ლარს არ აღემატებოდა. **ამ შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაარღვია კანონმდებლობის მთავარი მოთხოვნა, როდესაც საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობაზე**



„ვაზიანი-გომბორი-თელავის“ 10 კმ მონაკვეთის სამუშაოების ჩატარების შესყიდვაზე. ხუთი დღის შემდეგ იმავე დეპარტამენტმა გამოაცხადა ორეტაპიანი ტენდერი აღნიშნული გზის სრულ სიგრძეზე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოთა შესრულებისათვის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და საავტორო ზედამხედველობის შესახებ, ამის შედეგად ზემოხსენებული 10 კმ.-იანი მონაკვეთი აღმოჩნდა ორი ტენდერის ობიექტი. იმავე წლის 28 ნოემბერს ჩატარებული ტენდერის შედეგად შპს „მტკვარმა“ (დირექტორი თამაზ გვასალიაძ აიღო ვალდებულება გზის იმავე მო-

სარემონტო სამუშაოები განახორციელა შპს „მტკვარმა“, მომდევნო 27 კმ-იან მონაკვეთზე კი დაიწყებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. სინამდვილეში შპს „მტკვარმა“ შეასრულა პერიოდული შეკეთების სამუშაო – დააგო საცვეთი ფენა. სპეციალისტების შეფასებით, კომპანიისთვის გამოყოფილი თანხა – 1,7 მილიონი ლარი იმისათვის, რომ მას შეესრულებინა ზემოთ ხსენებული სამუშაოები (შეკეთება – საცვეთი ფენის დაგებაძ, გაბერილია, რაც მიგვანიშნებს საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე და დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გარიგებაზე.

**მომდევნო პერიოდში შპს „მტკვარმა“ მმართველ პარტიას გადაურიცხა ასეულ ათასობით ლარი, რაც სწორედ ასეთ გარიგებაზე მიგვანიშნებს. აღნიშნული ფაქტის გამომწვევი მიზეზების სრული გამოძიება ჩვენი სააგენტოს ძალებს აღემატება.**

გზის გახსნიდან მცირე ხნის შემდეგ შპს „ტრანსპროექტს“ დაევალა „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ მთელ სიგრძეზე გამოეკვლია გზის ფაქტობრივი სატრანსპორტო-საექსპლოატაციო მდგომარეობა.

# საკაშვილის ეგრეთ წოდებული „გატაცების პროექტები“ და „ქარს გატანებული“ მილიონები

## რა დაუჯდა სახელმწიფო ბიუჯეტს გომბორის გზის ნაჯალბევი მშენებლობა?

**300 ათასი ლარით მეტი ფინანსური ვალდებულება აიღო. ამით საგრძნობლად დააზარალა სახელმწიფო ბიუჯეტი, რასაც მხარი დაუჭირეს როგორც ფინანსთა სამინისტრომ, ისე შესყიდვების სახელმწიფო სააგენტომ, რომელთაც ამგვარ კანონდარღვევათა აღმოფხვრა უშუალოდ ევალებათ.**



გარდა ამისა, საკონტრაქტო პირობებში შეტანილი ზოგიერთი პირობა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს შესყიდვების შესახებ. კერძოდ, პროექტის კორექტირებისათვის გათვალისწინებულია პროექტის ღირებულების 1,5 პროცენტი, ხოლო ხარჯთაღრიცხვის გადაანგარიშებისთვის – ღირებულების 10 პროცენტი, ანუ 194 ათასი ლარი, რაც აშკარად გაბერილი ციფრია.

ეს ყველაფერი იწვევს ეჭვს, რომ დამკვეთს – საავტომობლო გზების დეპარტამენტსა და შემსრულებელს – შპს „ტრანსპროექტს“ (ხელმძღვანელი ტალი ტალიაშვილიძ შორის მოხდა შეთანხმება მორჩენილი თანხის განაწილების მიზნით (ე.წ. „ოტკატი“ძ.

დავუბრუნდეთ ზემოთ ხსენებულ მეორე ტენდერს. მისი ჩატარების და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ პროექტის მომზადების პროცესში საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომელთა შედეგად მნიშვნელოვნად გაუარესდა ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტურობა.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 11 ივნისის № 397 განკარგულებით, გზების დეპარტამენტს დაევალა „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ მშენებლობის დეტალური პროექტის შემუშავება, სადაც აღნიშნულია, რომ გზის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც არ საჭიროებენ სამშენებლო სამუშაოებს, მოხდეს რეაბილიტაცია-შეკეთება. იმათ კი ყველაფერი უკუღმა გააკეთეს. კერძოდ, 2008 წლის 25 ივნისს დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება

ნაკვეთზე პერიოდული შეკეთების სამუშაოების ჩატარების თაობაზე, რაც მან დაასრულა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

**ხსენებული 10 კმ-იანი მონაკვეთი საზეიმოდ გაიხსნა 2009 წლის სექტემბერში, პრეზიდენტ სააკაშვილის მონაწილეობით, რომელმაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (მაშინდელი მინისტრი დავით ტყეშელაშვილი) და საავტომობილო გზების დეპარტამენტის (თავმჯდომარე რამაზ ნიკოლაიშვილი) ხელმძღვანელებისგან მიღებული მცდარი ინფორმაციის საფუძველზე „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის გახსნა საქვეყნოდ გამოაცხადა, არადა რეალურად იმ პერიოდისთვის ამ გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის დეტალური პროექტი დასრულებულიც კი არ იყო.**

ამის გამო საზოგადოების ერთმა ნაწილმა სამართლიანად გამოხატა აღშფოთება და პროტესტი. ამ ფაქტზე სათანადო ინფორმაცია მიიღო საერთაშორისო საზოგადოებრიობამაც, რის გამოც შეილახა როგორც ქვეყნის, ისე თვითონ ქვეყნის პრეზიდენტის იმიჯი.

ამის შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის

მისი დასკვნით გზის 53-65-ე კმ მონაკვეთის ფარგლებში მიწის ვაკისის და სავალი სიგანე აკმაყოფილებს ნორმატიულ მოთხოვნებს, გზის საფარი კი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ამის საფუძველზე საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განაცხადა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდებოდა 1-57 კმ-ზე და ზემოთ ხსენებული 58-67,4 კმ აღარ შევიდოდა მშენებლობის პროექტში. ამის მიუხედავად, „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ გზის მთელი მონაკვეთი დაექვემდებარა სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოებს, რის შედეგად სახელმწიფო სახსრები (შპს „მტკვარის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებაძ, 1,778 მილიონი ლარის ოდენობით დამატებითი გარემოების არსებობის შედეგად დაიხარჯა არაეფექტურად.

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გიორგი წერეთლის წერილში (25.09.09 წ.) აღნიშნულია, რომ აღდგება გზის საცვეთი ფენა, რითაც გახანგრძლივდება „არსებული გზის სასიცოცხლო პერიოდი“. შპს „მტკვარმა“ კი დააგო საცვეთი ფენა და აღნიშნა, რომ მან შეასრულა**

# ნუთუ სხვა გზა აღარ არის?

**პერიოდული შეკეთების სამუშაოები, ანუ ხელთა გვაქვს სიყალბე.**

**ამრიგად, აშკარაა ბიუჯეტის სახსრების მითვისებისათვის „წარმატებით“ ჩატარებული ოპერაცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და შემსრულებელია საავტომობილო გზების დეპარტამენტი (თავმჯდომარე რამაზ ნიკოლაიშვილი).**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივი საავტომობილო გზების გარდა, დანარჩენი ყველა საავტომობილო გზა შედის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ჩამონათვალში და მათი მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და სხვა სამუშაოებისათვის აუცილებელია მშენებლობისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მიღება შესაბამისი სამინისტროდან.

ქვეყნის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ (მინისტრი გიორგი ხაჩიძე), წარმოდგენილი პროექტი განიხილა 2009 წლის 1 ივლისს (სამინისტროს წერილი № 07-18/880 27.10.09), მაგრამ ამ საკითხზე მას დადებითი გადაწყვეტილება არ მიუღია. არ მოიპოვება აგრეთვე დოკუმენტები, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია იყო წარდგენილი.

ამის მიუხედავად, გარემოს დაცვის სამინისტრომ ვერ შეძლო ემოქმედა კანონის ფარგლებში და საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან მოეთხოვა დაწყებული სამუშაოების შეჩერება, სწორედ ამიტომ ხსენებული სამინისტრო და მისი ხელმძღვანელი შეგნებულად გახდნენ სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულის თანამონაწილენი.

**როგორც ირკვევა, საავტომობილო გზის „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ მიმართულება განლაგებულია მაღალი აქტიურობის მეწყერი ზონის გასწვრივ, შპს „ტრანსპროექტმა“ კი არ ჩათვალა საჭიროდ შეესრულებინა შესაბამისი გეოლოგიური კვლევები. სანაცვლოდ მან მოიყვანა აკადემიკოს ვ.ბუაჩიძის (ცნობილი მეცნიერი გეოლოგი) 1970 წელს შესრულებული გეოლოგიური კვლევების მასალები, რის გამოც საეჭვო გახადა შესრულებული პროექტის სისწორე, რაზედაც არანაირი რეაგირება არ მოახდინა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (არც იმ დროის თავმჯდომარემ რამაზ ნიკოლაიშვილმა და არც ამჟამინდელმა მამუკა ლეჟავამ), რამაც პირდაპირ განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა.**

ჩვენ გავეცანით „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტის ხიდების ნაწილის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ავტორია დარგის ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი პროფესორი იური სლავინსკი. როგორც მან განაცხადა, შპს „ტრანსპროექტის“ პროექტით გათვალისწინებული ხიდების რკინის კონსტრუქციები წონით შეესაბამებიან მსოფლიოში ცნობილ ამერიკულ ვარიანტს. რაც შეეხება პროექტის მიწის საგზაო ნაწილის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას, ის ჩვენთვის ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია.

ამის მიუხედავად, სპეციალისტების შეფასებით, თუ გავითვალისწინებთ პროექტის ე.წ. სუსტ და დაუშვებელ (არსებული ნორმატიული მოთხოვნებიდან გამომდინარე) გეოლოგიურ ნაწილს, შპს „ტრანსპროექტის“ მიერ მიღებული საპროექტო გადაწყვეტილება დაუშვებელია გზის მიმართულებით განლაგებული ძლიერი მეწყერული ზონის არსებობის გამო, რამაც გამოიწვია სახელმწიფო თანხების განიავება-არამიზნობრივი ხარჯვა.

ამჟამად ჩვენი სააგენტო სწავლობს საავტომობილო გზის „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს:

შპს „ალ ხამრიას“, კუვეიტი-საქართველოს შპს „გზამშენი-4“-ის წარმოშობას და ამ საქმეში მსოფლიო ბანკის ე.წ. წვლილს. ამ უკანასკნელმა საქართველოზე გასცა მიზნობრივი კრედიტი, რომლის ათვისების კონტროლი სწორედ მსოფლიო ბანკს ეკისრებოდა.

წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნული შპს-ების უცხოური წარმოშობა ატარებს პირობით ხასიათს და სინამდვილეში ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ ჩვენი თანამემამულეების მფლობელობაში არსებულ შპს-ებს, რასაც ვადასტურებთ მოპოვებული დოკუმენტების მეშვეობით.

დარგის სპეციალისტების დახმარებით ჩვენ შევეცდებით დავადგინოთ შპს „ალ ხამრიას“ (მეიჯარეები შპს „ნიუ როუდ“ და შპს „ნიუ ენერჯი“) და შპს „გზამშენი-4“-ის მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის და ხარისხის შესაბამისობა შპს „ტრანსპროექტის“ მიერ შედგენილ პროექტთან მიმართებაში.

**ჩვენი გამოძიების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექსაბჭოს წევრების პასუხისმგებლობა. მათ ამ ორგანოს ერთ-ერთ სხდომაზე ერთხმად დადებითად შეაფასეს შპს „ტრანსპროექტის“ მიერ შედგენილი „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი. ამ დროს მათ არ გაითვალისწინეს, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ხსენებულ პროექტზე ნებართვა არ გასცა. ეს კი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ტექსაბჭოზე აღნიშნული პროექტის განხილვა არ მომხდარიყო. აქედან გამომდინარე, „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ გზის რეაბილიტაციის სამუშაოები არ უნდა დაწყებულიყო და მასზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც არ უნდა გაცემულიყო. მსოფლიო ბანკს, თავის წესდებიდან გამომდინარე (კრედიტის მიზნობრიობის კონტროლი), კრედიტის გამოყენება უნდა აეკრძალა, რაც არ მომხდარა. შესაბამისად, მსოფლიო ბანკის მოქმედება პირდაპირ ადასტურებს მის თანამონაწილეობას საქართველოს საზიანოდ გაწეულ ფინანსურ „დახმარებაში“.**

წინასწარი მონაცემების საფუძველზე, მათ მიერ შესრულებული სამუშაოები აშკარად განსხვავდება პროექტში არსებული მოთხოვნებისგან, რაზეც უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და ყველა იმ პირს, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ ვრცლად ვილაპარაკეთ.

„ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო გზასთან დაკავშირებით არსებული დარღვევების თაობაზე ჩვენ მივმართეთ საქართველოს პარლამენტის წევრს, დარგის გამოცდილ სპეციალისტს, წლების მანძილზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს კანდიდ კვიციანს, რათა მისგან როგორც პოლიტიკოსისა და ხალხის რჩეულისგან, მიგვეღო კომპეტენტური შეფასება.

**თუმცა კანდიდ კვიციანმა საჭიროდ ჩათვალა „განზე დამდგარიყო“ — წერილზე არ გვიპასუხა. ამ დროს, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, სწორედ კანდიდ კვიციანია შპს „მტკვრის“ ერთ-ერთი რეალური დამფუძნებელი. ჩვენი სააგენტო ამჟამად სწავლობს კანდიდ კვიციანის ეგრეთ წოდებულ „ღვაწლს“ „ვაზიანი-გომბორი-თელავის“ საავტომობილო მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის შედეგებსაც მკითხველს უეჭველად ვაცნობებთ.**

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

## ჭორია თუ სიმართლე!

**ოცდამეერთე საუკუნეში ვერავის ვეღარაფრით გააკვირვებ, ბუნებრივია, ვერც იმით, რომ თეთრი ფქვილით გამომცხვარი პური საღებავით შეგიფერადონ და შავი ან რუხი პურის იმიტაციით დაგაგემოვნებინონ. ამის თაობაზე დღეს უკვე ხშირად საუბრობენ რადიოთი და ტელევიზიითაც. ვრცელდება ინფორმაცია, რომ შავი პური, რომელიც მაღაზიებში იყიდება, უმეტესად შეღებილია, რამაც მომხმარებელი დააფრთხო. აქედან გამომდინარე, ყველას აინტერესებს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. პური, რომელსაც შავად ასაღებენ, მართლა შავია თუ ხელოვნურად შეფერადებული?**

# მართლა შავ პურს მივირთმევთ თუ საღებავით შეფერადებულს?

ამ საჭოჭმანო კითხვაზე რომ უტყუარი პასუხი მიმეღო, გადავწყვიტე სახაბაზო საქმეში, როგორც იტყვიან, ჭიპმოჭრილ სპეციალისტსა და პროფესიონალს, თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს **მალხაზ დოლიძეს** გავსაუბრებოდი და მომხმარებლისთვის ესოდენ საჭირო და აუცილებელი განმარტება მეთხოვა. ბატონმა მალხაზმა მისთვის ჩვეული ობიექტურობითა და მიუკიბ-მოუკიბავი გულახდილობით განაცხადა:



— რეალობა ის გახლავთ, რომ ორი წელია საქართველოში ფქვილის შეძენა შეზღუდეს (უცხოეთში დამზადებული ფქვილი აღარ შემოდის), რაც, სამწუხაროდ, მეწარმეებს (პურის დამამზადებლებს) ფქვილის არჩევანის შესაძლებლობას უსპობს. რაც შეეხება ჭვავისა და სხვა დანარჩენი სახეობის ფქვილს, საქართველოში იგი თითქმის არ მზადდება. სამაგიეროდ, ისევე როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, ჩვენშიც შემოვიდა და ფართო გასაქანი ჰპოვა როგორც ფქვილის, ასევე პურის გამაუმჯობესებლების დანერგვამ, ანუ, უფრო გასაგები ენით რომ ვთქვათ, სხვადასხვა დანამატების — ინგრედიენტების, ემულგატორების, კონსერვატებისა და საღებავების გამოყენებამ.

**— მერე ყოველივე ეს, ბატონო მალხაზ, ნორმალურად მიგაჩნიათ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ეს პურის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ თანამედროვე კვების მრეწველობაში მთელ მსოფლიოში და მათ შორის ჩვენშიც ფართოდ გამოიყენება ასეთი დანამატები, რომელსაც აწარმოებენ გერმანული, ბელგიური, ავსტრიული, თურქული, ფრანგული, ისრაელური და ამერიკული ფირმები. დიდი ქალაქების პურით უზრუნველყოფის და ასორტიმენტის მოთხოვნამ დანერგა სწრაფი ტექნოლოგიები, რასაც დღეს გვერდს ვერ ავუვლით. ბაზარი ითხოვს მაღალგემოვნურ პურპროდუქტებს, რომლის მიღწევა სწორედ მსგავსი ინგრედიენტებითაა შესაძლებელი ფაქტია, საქართველოში პურს ვერც ავსტრიიდან ჩამოიტანენ და ვერც ლიტვიდან. არსებობს ტექნოლოგიები და ინგრენდიენტები, რომელთა გამოყენებითაც მზადდება ესა თუ ის ასორტიმენტი.

**— მაგრამ რამდენად სასარგებლობა ასეთი პური?**

—სასარგებლოა თუ არა ასეთი პური, ეს უკვე სხვა საკითხია. მე, როგორც ამ სფეროში საკმაო გამოცდილების მქონე სპეციალისტს, შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ნატურალურ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს ალტერნატივა არ გააჩნიათ. მეცნიერები დღემდე კამათობენ გენურ ინჟინერიაზე, ნანოტექნოლოგიებზე. ამ მხრივ ძალზე საინტერესო მოსაზრებები აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს რამაზ გახოკიძეს და როცა ასეთი მეცნიერები გვყავს, მათი მოსაზრებები აუცილებლად გასათვალისწინებელია. ამიტომ დღეს ასერიგად მომრავლებულ ექსპერტებს ვთხოვდი, პურთან დაკავშირებულ საკითხებში კარგად გაერკვნენ და ხმამაღალი სენსაციური განცხადებები მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთონ.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ხშირად მომხმარებლისათვის გაუგებარია, ამა თუ იმ სახეობის პური რომელი ინგრედიენტებით არის დამზადებული. არადა ამის ცოდნა, ვფიქრობთ, აუცილებელია დიაბეტური და დიეტური პურის მომხმარებელთათვის.**

— მართალი ბრძანდებით, მომხმარებელი აუცილებლად უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ პური დამზადებულია ფერებით და დანამატებით, რაც უნდა აისახოს მის შეფუთვაზე. ამას აკეთებენ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში და უნდა გავაკეთოთ ჩვენც. დიაბეტურ პურში, მაგალითად, ნახშირწყლები უნდა იყოს მინიმალური რაოდენობით, რაც დაკავშირებულია ჩვეულებრივი ცომის გარეცხვასთან, ტექნოლოგიურ დანაკარგებთან და, ბუნებრივია, პურის გაძვირებასთან (მისი დამზადება მეწარმისთვის არარენტაბელურია). დიაბეტით დაავადებულებს, როგორც წესი, ურჩევენ მსხვილად დაფქულით დამზადებულ პურს, რომელსაც საკვების მომნელებელი სისტემა ადვილად ამუშავებს და ნაკლებ ნახშირწყალს შეიცავს (ასეთებია 96-პროცენტიანი შავი და 86-პროცენტიანი რუხი პური). ჯანმრთელ ორგანიზმში ინსულინი ანეიტრალებს ნახშირწყლებს, რომელიც თეთრ პურში შედარებით მეტია და ადამიანისთვის ენერგიის მუხტია. სწორედ ამიტომ შავი და რუხი პურის დამზადებისას გაუფრთხილებლობა და ფალსიფიკაცია ყოვლად დაუშვებელია.

**— არადა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, არიან მეპურეები, რომლებიც ამ პირობების დაცვას არად დაგიდევენ, კვეხნით კი, იცოცხლეთ, მაგრად იკვეხნიან — ჩვენისთანა პურს ამ ქვეყანაში არავინ აცხობსო.**

— გეთანხმებით, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, ამ დარგშიც მოიძებნებიან ფალსიფიკატორები, რომლებიც საშიშროებას უქმნიან ადამიანთა ჯანმრთელობას. დღეს ბაზრის მოპოვების მიზნით მრავალმა გაუთვითცნობიერებელმა სხვადასხვა სპეციალობის ადამიანმა მიჰყო ხელი „ხაბაზობას“, ამ, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივ, მაგრამ საკმაოდ სათუთ და მოსაფერებელ პროფესიას. ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ 1 კილოგრამ საფუარში 2 მილიონი უჯრედია და საფუარის თუნდაც მომატებული ნორმა, რომელიც გამოიყენება სწრაფ ტექნოლოგიებში (ცომის მოსაყვანად) საგრძნობლად აღიზიანებს კუჭის ლორწოს. უმნიშვნელოვანესია ნახევარფაბრიკატების სიმჟავე, რადგანაც კარტოფილის ჩხირი, რომელიც 300 გრადუსზე არ კვდება, იღუპება 5 გრადუს მჟავე გარემოში, ხოლო 7 გრადუსზე პური სასაქონლო სახეს კარგავს. ამ საკითხებზე ელემენტარული განათლება და ცოდნა-გამოცდილება აუცილებლად მიმაჩნია, რადგანაც დღეს მომრავლებული პურის საწარმოები ხშირად ურცხვად უკეთებენ რეკლამას (შაქარი ნული, უსაფუვრო პური!) საკუთარ პროდუქციას. ერთ-ერთმა ასეთმა მეწარმემ ისიც კი იკადრა, რომ ტელევიზიით გამოსვლისას თავხედურად განაცხადა, შავი პური მარტო ჩვენი დამზადებულია ნატურალურიო. ასეთების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებულ პურს კარგად ატყვია მასზე გაწეული შრომატევადობის კვალი და ფასიც შესაბამისი აქვს. ამიტომ თავს ნუ მოვიტყუებთ არშემდგარი სასწაულებით. კარგი იქნება, თუ ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები გააცნობიერებენ, რომ ერთი შეხედვით მარტივი პურის ცხობა საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეა. რაღა თქმა უნდა, სიფრთხილით უნდა მოეკიდოს საკუთარ ჯანმრთელობას მომხმარებელიც, რომელიც ხშირად ისე იძენს პურსა და სხვა პროდუქტებს, რომ არც უფიქრდება, რა შედეგი შეიძლება მოყვეს მათ გაუთვითცნობიერებელ მოხმარებას.

**ესაუბრა**
**ოთარ ხუციშვილი**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# „ვიკილიკსი“, სამხრეთი ოსეთი და რუსეთის „გადატვირთვა“

**„ვიკილიკსმა“, როგორც იქნა, გადაწყვიტა დავა იმის შესახებ, თუ ვინ ვის დაესხა თავს პირველი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში. დოკუმენტები მყარად მიუთითებენ საქართველოს და მისი მეგობარი ზესახელმწიფოს შეცდომებზე. ჰანს მორიტცენისთვის ეს დეტალები ჩრდილში გადადის უფრო მნიშვნელოვანი საკითხის ფონზე, როდესაც საუბარია ამერიკა-რუსეთის ურთიერთობათა განვითარებაზე მათი ორივე ხელისუფლების „გადატვირთვის“ შემდეგ.**

დავიწყოთ იქიდან, რაც სადავო არ არის. ყველა აღიარებს, რომ ომს წინ უსწრებდა სროლები და ძალადობა სამხრეთ ოსეთში. იქ იყო შეტაკებები მეამბოხეებს, ფაქტობრივი რეჟიმისადმი ცხინვალში ლოიალურებსა და იმ ძალებსშორის, რომლებიც ლოიალური იყვნენ თბილისისადმი. ანალოგიურად უმრავლესობა ეთანხმება იმას, რომ საქართველომ დაიწყო ცხინვალის მასირებული უწესრიგო დაბომბვა 7 აგვისტოს ღამით. ძირითადი მომენტი კი, რის გამოც წარმოიშვა უთანხმოებათა უმრავლესობა, იყო საკითხი იმის შესახებ, მიიჩნევდნენ თუ არა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მომხრეები, რომ რუსეთის რეგულარული ჯარები უკვე შეიჭრნენ საქართველოში ამ შეტაკების დაწყებამდე.

თავდაპირველად საქართველოს პრეს-რელიზში, რომელიც 8 აგვისტოს არის გამოშვებული, და საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე მოხსენებული იყო მხოლოდ მოხალისეთა გასამხედროებული რაზმები, რომლებიც მოვიდნენ ჩრდილოეთი ოსეთიდან და არა რუსეთის ფედერაციის რეგულარული შეიარაღებული ძალები. მაგრამ სამი დღის შემდეგ ქართველებმა შეცვალეს თავიანთი ოფიციალური ვებ-გვერდები და გამოაქვეყნეს ახალი ვერსია, რომელიც დღემდე არის მთავარი: საქართველომ განიცადა სრულმასშტაბიანი რუსული შემოჭრა ცხინვალის დამბომბვამდე ხუთი წუთით ადრე. ამ რედაქტირებულ ქართულ ვერსიას უარყოფს რუსეთი. მასში ეჭვი შეაქვს აგრეთვე „დამოუკიდებელ საერთაშორისო მისიას ფაქტების დადგენის შესახებ“, რომელმაც ვერანაირი დამოწმება ვერ აღმოაჩინა ადრეული შემოჭრის შესახებ.

მაგრამ „ვიკილიკსის“ მიერ თბილისში ამერიკის საელჩოდან მოპოვებული კონფიდენციალური დოკუმენტები გვიხატავენ სრულიად სხვაგვარ სურათს. 8 აგვისტოს დილის 10 საათსა და 10 წუთზე ელჩმა ჯონ ტეფტმა ვაშინგტონს აცნობა, რომ „თუ ქართველები მართლები არიან და ომი, ფაქტობრივად, დამთავრდა, მაშინ სრულიად გაურკვეველია, რა როლი ექნებათ რუსებს, და არის თუ არა პოტენციალი კონფლიქტის გაფართოებისთვის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არანაირი მოქმედებანი რუსეთის მხრიდან იმ მომენტში არ ყოფილა. უფრო მეტიც, სააკაშვილი შეშფოთებული იყო იმით, რომ ბრძოლები სამხრეთ ოსეთში „რუსეთისთვის შეიძლება გახდეს საბაზი, და არ არის გამორიცხული, რომ უნდა ველოდოთ შემდგომ შეტევებს“.

ყველა ზემოაღნიშნული ზუსტად მიუთითებს იმაზე, რომ ცხინვალის დაბომბვა იყო მცდელობა იმისა, რომ გაკვეთილები მიეცათ ადგილობრივი ბანდიტებისთვის და ნავარაუდევი იყო, რომ რუსეთი არ მოახდენდა ასეთ ძლიერ რეაგირებას. თუ უკან დავიხევთ, ამგვარი შეფასება მიამიტურად გაისმის, მაგრამ ქართველები, როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების და დასავლეთის დარწმუნებამ, რომ სრულმასშტაბიანი შეჭრა „წარმოუდგენელია XXI საუკუნეში“. ამ არასწორი მსჯელობის სრული შესაბამისობით, ამერიკის სათანამგზავრო დაზვერვა კრიტიკულ მომენტში დაკავებული იყო ირანით, ავღანეთითა და პაკისტანით. ამერიკის შეერთებული შტატები, მაშასადამე საქართველოც შესაბამისად, ვერ ამჩნევდნენ რუსეთის ჯარების კონცენტრაციის გაძლიერებას საქართველოს საზღვრების მახლობლად. ამგვარმა სიბეცემ თავისი წვლილი შეიტანა პრაქტიკულად თვითმკვლელურ გადაწყვეტილებაში ცხინვალის დაბომბვის შესახებ.




ამერიკა-რუსეთის გადატვირთვა, რომელიც ინიცირებული იყო 2009 წლის მარტში და კიდევ მუშაობდა ორი წლის შემდეგ, ნიშნავდა ამერიკის მიერ სამხრეთ კავკასიაში ახალ სტატუს-კვოს აღიარებას. გზავნილი სტრიქონებს შორის იკითხებოდა: „ჩვენ არ მოგვწონს, თუ რა მოხდა ომის დროს და ომის შემდეგ, მაგრამ ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, და მსოფლიოში არის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები, ვიდრე საქართველოა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: „შენ, რუსეთო, შეგიძლია გქონდეს შენი ინტერესების სფერო, მაგრამ ჩვენ, როგორც ყოფილი ჰეგემონი, ამას ძნელად რომ როდისმე აშკარად ვაღიარებთ“. აი რატომ შემცირდა საქართველოსთვის ნატოს წევრობა ჩვეულებრივიდან არაფრამდე. საკუთარი პრობლემების გარდა, ამერიკას ჰქონდა საკითხები, რომლებშიც უპირატესობა ენიჭებოდა რუსეთთან თანამშრომლობის პრობლემას.

თეორიულ ლიტერატურაში „სუსტების ძალის შესახებ“ შეთანხმებული აზრი არის ის, რომ თანამშრომლობა ძლიერებს შორის – ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის – უფრო სახიფათოა სუსტებისთვის. კონფლიქტის საშუალო დონე მათ შორის ასეთია: დაფიქრდით იმაზე, თუ როგორ დაკარგა შვედეთმა ფინეთი ტილზიტის ზავის შემდეგ ნაპოლეონსა და რუსეთის მეფეს შორის, ან პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების ბედზე მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შემდეგ. მაშინაც კი, თუ ამ შემთხვევაში შედეგები იყო ნაკლებად კატასტროფული, სახელმწიფოები აგებდნენ თავიანთი უშიშროების სისტემას დაპირისპირებიდან – ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის წინააღმდეგ (ასეთი ქვეყნები არიან ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, საქართველო და ნაწილობრივ აზერბაიჯანიძ. და ეს სახელმწიფოები დასუსტდნენ – ზოგი უფრო მეტად, ზოგი უფრო ნაკლებად. უკრაინა რუსეთის მხარეს გადავიდა.

ბუშის მიმავალმა ადმინისტრაციამ ხელი მოაწერა საქართველოსთან „ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, მაგრამ ეს დოკუმენტი შეგიძლია მიიჩნიო როგორადაც გინდა, მხოლოდ იგი სტრატეგიული არ არის. თუ საქმე საქმეზე მიდგა, ეს, უბრალოდ, ლეღვის ფოთოლია იმ ფაქტის თვალსაზრისით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ურთიერთობა საქართველოსთან გადააქვს უკანა პლანზე. შეიძლება ამის შედეგად საქართველომაც გადაწყვიტა, მოეხდინა თავისი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაცია, გაეძლიერებინა კონტაქტი თურქეთთან და ირანთან. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები შეეცადნენ, დაემშვიდებინათ თავიანთი ქართველი კოლეგები, როდესაც არგუმენტად მოჰყავდათ ის ფაქტი, რომ ახლა საქართველოს შეუძლია იგრძნოს თავი უფრო მეტად დაცულად, ვიდრე მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა აამოქმედა „გადატვირთვა“ რუსეთთან ურთიერთობაში. რასაკვირველია, მათ ავიწყდებათ დაუმატონ, რომ გადატვირთვა უფრო მნიშვნელოვანია თავად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ვიდრე რუსეთისთვის.

openDemocracy
free thinking for the world

# სერგეი ივანოვმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისკენ გზა შეამოწმა

## ამ გზაზე ძველებურად საქართველო დგას

**რუსეთის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს აღიარა, რომ რუსეთის ფედერაციის წევრობის პერსპექტივები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჯერჯერობით ბუნდოვანია საქართველოს პოზიციის გამო. ამავე დროს, მისივე სიტყვებით, მოსკოვი მშვიდად განიხილავს ყველა საკითხს თბილისთან მოლაპარაკებაში. მორიგ მცდელობას პრობლემების მოსაწესრიგებლად, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოს თანხმობის მიღებას რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მიერთებაში, მხარეები განსაზღვრავენ 28-29 აპრილს შვეიცარიის ქალაქ ბერნში. თუმცა წარმატების იმედები მინიმალურია. საქართველო ძველებურად მოითხოვს თავისი საბაჟო პუნქტების ლეგალიზაციას რუსეთის ფედერაციის საზღვრის აფხაზურ და სამხრეთოსეთურ მონაკვეთებზე, რასაც მოსკოვი კატეგორიულად არ ეთანხმება.**

რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერი სერგეი ივანოვი, რომელიც ამ კვირაში ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, ამერიკელ თანამოსაუბრეებთან განიხილავდა კოსმოსურ თემას, რომელიც, მისი აზრით, გახდება გადამწყვეტი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში უკვე 2020 წელს, როდესაც თავის არსებობას შეწყვეტს საერთაშორისო კოსმოსური სადგური, აგრეთვე სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს. დაბრკოლებად რუსეთ-ამერიკის ურთიერთობათა განვითარებაში, მიაჩნია ვიცე-პრემიერს, გვევლინება უკიდურესად დაბალი საქონელბრუნვა ორ ქვეყანას შორის. „მანამ, სანამ ჩვენი ვაჭრობის დონე იქნება 23 მილიარდი დოლარი, არაფერს უნდა ველოდოთ. ეს წვრილი მარცვლებია როგორც რუსეთისთვის, ისე ამერიკისთვის“, – აღნიშნა ბატონმა ივანოვმა.

თუმცა, მისი სიტყვებით, უკანასკნელი მოვლენები მსოფლიოში იძლევიან გარკვეულ იმედებს იმისა, რომ ეს სიტუაცია შეიძლება გამოსწორდეს. „დღევანდელი კონიუნქტურის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდება იაპონიაში, ლიბიაში, რუსეთი გამოიყურება საკმაოდ მიმზიდველად საინვესტიციო თვალსაზრისით“, – მიაჩნია ვიცე-პრემიერს.



სერგეი ივანოვმა თავისი აზრი გამოთქვა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის პერსპექტივასთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ძველებურად ბუნდოვანია. მთავარ დაბრკოლებად ჩინოვნიკმა „ქართული პრობლემა“ დაასახელა, რომლის გადაწყვეტაც ვერ მოახერხა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონთან და საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის მოადგილესთან უილიამ ბერნთან მოლაპარაკების დროს. „ჩემი აზრით, აქ არაფერია განსახილველი, ვინაიდან პრობლემა უფრო პერსპექტიულია და ჩვენ განზრახული გვაქვს, კვლავაც მშვიდად განვიხილოთ ეს საკითხები საქართველოსთან მოლაპარაკების დროს“, – აღნიშნა რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა.

მოლაპარაკება, რაც ბატონმა ივანოვმა ახსენა, გაიმართება უკვე ამ თვეში. როგორც ჩვენს გაზეთს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ აცნობა, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართება ბერნში 28-29 აპრილს. იმის შესახებ, თუ რა საკითხები იქნება შეტანილი დღის წესრიგში, მან არაფერი გვიპასუხა. „ჩვენ რუსეთთან გვაქვს მოლაპარაკება – ჩვენ პრესასთან არ განვიხილავთ მოლაპარაკების პროცესის შინაარსობრივ მხარეს“, – აღნიშნა ქართველმა მინისტრმა.

თავის მხრივ, საქართველოს პრემიერის პრეს-მდივანმა ნიკო მჭედლიშვილმა ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ მისი ქვეყნის პოზიცია უცვლელია. „ჩვენ რუსეთის წინაშე ვაყენებთ ერთადერთ საკითხს: ეს არის საბაჟო პუნქტების ლეგალიზაცია რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზურ და სამხრეთოსეთურ მონაკვეთზე, – ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა მჭედლიშვილმა. – იყო ბევრი სპეკულაცია იმის შესახებ, რომ თბილისს შეუძლია მოითხოვოს თავისი პროდუქციის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე. მაგრამ ჩვენ ამ საკითხის დაყენებას არ ვაპირებთ, ვინაიდან რუსეთის ფედერაცია მეტად განუჭვრეტელი პარტნიორია, და თუ დასაწყისში პროდუქციას კიდეც გაუშვებენ, შემდეგ კვლავ შეუძლიათ მოგონილი საბაბით აღკვეთონ ეს პროცესი“.

ამგვარი განწყობილება ბერნში შეხვედრას უწინასწარმეტყველებს ჩავარდნას, ვინაიდან მოსკოვმა არაერთგზის განაცხადა, რომ საქართველოს პირობები შეუსრულებელია, ვინაიდან არ არსებობს რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზური და სამხრეთოსეთური მონაკვეთები, არამედ არის ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკა – აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთისა.

„თბილისის პოზიციაა, რომ დააყენოს კონტროლი საზღვარზე. მაგრამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან ამას არანაირი ურთიერთობა არ გააჩნია, – განაცხადა ერთ-ერთმა რუსმა დიპლომატმა. – ეს არ შეესაბამება მოლაპარაკების საკითხებს, და ეს კარგად იცის დელეგაციების უმრავლესობამ. რამდენ ხანს იქნებიან ისინი ამ პოზიციაზე, მათი საქმეა. მაგრამ თანდათანობით იქმნება კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა შეასრულოს ყველა პროცედურა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლისთვის. მაშასადამე, ზემოქმედება საქართველოზე გაიზრდება. ქართველებს აუხსნეს, თანაც ჩვენ კი არა, შვეიცარიელებმა, რომ ასე მოქცევა საჭირო არ არის“.

Коммерсант

## დედამიწის ზურგზე



**სანავთობო ომი ლიბიაში: კოალიცია ბომბავს საბადოებს, მეამბოხეებმა აღმოსავლეთში მოპოვება შეაჩერეს**

ბრიტანეთის სამხედრო ავიაციამ სარაკეტო დარტყმა მიაყენა ქვეყანაში უდიდეს საბადოს სარირში, რომელსაც მუამარ კადაფის რეჟიმი აკონტროლებს. ამავე დროს მეამბოხეები იძულებული გახდნენ, შეეწყვიტათ ნავთობის მოპოვება ქვეყნის აღმოსავლეთში ამ რაიონში არმიის მუდმივი შეტაკებების გამო.

* * *

**აშშ-მ უარყო კადაფის „უწიგნური და მაღალფარდოვანი“ წერილი, მაგრამ ოფიციალურად მასთან კავშირს აწესრიგებს**



ფორმალურად თეთრი სახლი გვიჩვენებს თავისი პოზიციის სიმტკიცეს ლიბიის რეჟიმთან დაკავშირებით, მაგრამ სიტუაცია ფრონტებზე ჩიხში შედის, ნატოს შესაძლებლობანი კი შეზღუდულია მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლის თავიდან აცილების აუცილებლობით. ამ პირობებში კონფლიქტის მხარეები ცდილობენ, დაამყარონ დიალოგი, თუმცა მოქმედებენ მეტად ფრთხილად.

* * *

**ნაიარევმა ობამას თავზე ბევრი ჭორი წარმოშვა: ბლოგერებს მიაჩნიათ, რომ იგი დაიბევეს უცხოპლანეტელებმა**



ამერიკელ კომიკოსს ჯორჯ ლოპესთან შეხვედრის დროს ფოტოგრაფებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აღბეჭდეს ზურგიდან, ბლოგერებმა კი ამ ფოტოებზე შენიშნეს უცნაური ნაიარევი მის თავზე. იგი მოდის საქოჩრიდან მარჯვენა ყურისკენ.

* * *

**„ფუკუსიმა-1“ გადაარჩინეს აფეთქებისგან, რომელიც ლიკვიდატორების ყველა წარმატებას ბოლოს მოუღებდა**

ავარიული ატომური ელექტროსადგურის კომპანია-ოპერატორმა პირველ რეაქტორში შეიყვანა აზოტი, რითაც წყალბადის აფეთქების საფრთხე მოხსნა, რაც წინა დღით გაჩნდა. ამას გარდა, სადგურის მუშაკებმა შეძლეს, ამოექოლათ ნაპრალი, საიდანაც რადიოაქტიური წყალი შედიოდა ოკეანეში. სხვათა შორის, ექსპერტები მოგვიწოდებენ, თავი შევიკავოთ სიხარულისგან დროზე ადრე და ამბობენ, რომ სიტუაცია სტაბილურობამდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა.



ჩვენებურები

# მექანიკური მოქალაქეები

დასწრება – მოსწრება – გადაგდება – მოპარვა ეფექტური იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ სასუპერმარკეტო საქონელს მოპოვებაც სჭირდება თურმე. როგორც არალეგიტური მეთოდებით, ასევე აპრობირებული ბარიკადებით, იარაღით, „თავისუფლებით“, ტვინის გამორეცხვა – ზომბირებით, მორალური „ოხშივებით“, „სირების გამოყენებით“, ფარისევლობით, შანტაჟებით „ვიშვილეთ-დავეხმარეთ, თორემ დავიღუპებით და ეს ცუდად მოგვიბრუნდებაო“ ძახილით ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ დონეზე... გამოჩნდნენ მარიფათობის ვარისკაცები, ოფიცრები და ბინარლები, დამსახურებული მოღვაწეებიც. გაჩნდა რანგების ტაბელიც. არაერთისგან მსმენია ორთაჭალის ავტობუსის სადგურის ტრივიალური სცენა. როგორ აცილებენ ცოლებს ქმრები თურქეთში ერთი თხელი ჩანთით და შემდეგ როგორ ხვდებიან მათ, უკვე სავსე რამდენიმე ჩანთიანებს... იმავე „ეგზისტენციალურ“ სადგურში. ერთ ქალსაც ვიცნობ, გაკვირვებული და სევდიანი მიყვებოდა, როგორ ეჭვიანობდა ქმარი მთელი ცხოვრება, როცა იგი მეზობელთან ან პურზე გადიოდა; როგორი ტანჯვა იყო ეს ქალისთვის, როგორ და ვისთვის ითმენდა ამას და როგორ „მოეხსნა“ კაცს ეჭვიანობა, „სასიკეთოდ“ ტრანსფორმირდა, როცა ქალმა თურქეთიდან ფულიც ჩამოიტანა, ჯინსებიც, საბურავებიც, და მაცივარიც გაავსო. აკვიატებული კითხვებიც შეწყდა და ქალის გადაადგილების თავისუფლებასაც შესაბამისი პატივი ეცა. ეშველათ. კონცეპტი – „გვაცალეთ ცხოვრება“ – თითოეულ ცალკე აღებულ უჯრედში ავად თუ კარგად რეალიზდა.

პირადად ჩემი ყური (სხვისაზე თავს ვერ დავდებძ სიტყვას „მამულიშვილი“ დიდი ხანია გადაეჩვია და ჩანაცვლდა – „მოქალაქით“. საქართველოში კარგი ან ცუდი ადამიანის დასახასიათებლად სიტყვა „კარგი ან ცუდი მამულიშვილი“ იხმარება და ეს სიტყვა, ალბათ, „ეპითეტების“ ტოპ-პარადში პირველი თუ არა, სადღაც პირველ ათეულში მაინც განთავსდება. მშობლის, დედმამისა და შვილის ურთიერთმიმართება, როგორც პატრიოტიზმის თუ ღმერთთან მიმართების „სუბლიმაცია“ ამჯერად იმდენად საინტერესო არაა, რამდენადაც – თავად ამ ტერმინთა „ოქროს ხანა“ ანუ „მამულიშვილისა“ და „მოქალაქის“ ერთ სივრცეში თავსებადობა, თანაცხოვრება-თანამშრომლობა, მათ შორის ადამიანურ ჯუნგლებში ყოველგვარი მემარცხენეობა – მემარჯვენეობა-ცენტისტულობით ანგაჟირების გარეშე.

* * *

1928 წელს მაქსიმ გორკიმ გაზეთ „პრავდაში“ პუბლიცისტური სტატია „სსრკ-ის „მექანიკურ მოქალაქეებს“ გამოაქვეყნა. 1962 წელს იბეჭდება ტვინის სიმსივნით დაავადებული ენტონი ბიორჯესის რომანი „მექანიკური ფორთოხალი“ (მალაიზიურ ენაზე სიტყვა „ფორთოხალი“ „ადამიანს“ ნიშნავსძ, ხოლო 9 წლის შემდეგ ეკრანზე სთენლი კუბრიკის ერთმოსახელე ფილმიც გამოდის. მაქსიმ გორკი თავის სტატიაში იმ ადამიანებს ჩამოთვლის, ვინც მას წერილებს სწერს. ერთ-ერთი ავტორი „ოზივატელია, რომელიც მექანიკურად სსრკ-ის მოქალაქე გახდა“. არა მამულიშვილი, არამედ – მოქალაქე. ამდგვარი ბევრი იყო, არის და იქნება.

საბჭოთა საქართველოში და არა მარტო, საღამოობით ჰალსტუხიანი კომუნისტი – ათეისტების შავ „დვადცატჩეტირებს“ მღვდლების სახლებთან დაინახავდით. შვილები მოჰყავდათ მოსანათლად. ყველამ ყველაფერი იცოდა. მაგრამ ფორმალურობა ანუ პოლიშინელი „პოლიტკორექტულობა“ მკაცრად დასაცავი იყო. ღამე – ღმერთს, დღე – კეისარს. ამგვარი სასანგრე თუ მექანიკური თეიზმი ამას წინათ გაზეთ New-York Times-ში ჯო ბეკერის სტატიამ „აშშ შავი სიის ქვეყნებთან ბიზნესის წარმოებას მიესალმება“ გამახსენა. ამერიკაში ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნებთან სასანქციო რეჟიმის გამტარებელი და მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო „აშშ-ის ხაზინის საზღვარგარეთის აქტივების კონტროლის განყოფილება“ გახლავთ. აღმოჩნდა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამერიკული ხელისუფლება, ფაქტობრივად, ამერიკულ კომპანიებს, მათ შორის ბანკებს, Pepsi, Kraft Food-სა და კიდევ მრავალს შავი სიის ქვეყნებთან ბიზნესურთიერთობის უფლებას აძლევდა. სულ 10 000-მდე ამდაგვარი ფორმალურად არასანქცირებული და ამავე დროს არაფორმალურად სანქცირებული ლიცენზია გაცემულა. ამერიკამ ირანთან და სხვა, ოფიციალურად მის მიერვე შეჩვენილ არასაიმედოთა სიაში მყოფ ქვეყნებთან ურთიერთობით მილიარდობით მოგება ნახა. ყველაფერი კი ჰუმანიტარული (სამედიცინოძ დახმარების ეგიდით თითქოსდა). თუმცა, არა მგონია, „პეპსიკო“ ანდა ერთ-ერთი კომპანიის ამერიკული ირანიდან ევროპაში გაზსადენის მშენებლობის ტენდერში მონაწილეობდა ჰუმანიტარული დახმარების კოდექსში რამენაირად ჯდებოდეს. სტატიაში ასევე საუბარია ტერორიზმის მხარდამჭერ და იარაღის უკანონო ვაჭრობაში შემჩნეულ ორგანიზაციებთან ამერიკული კომპანიების საქმიანი ურთიერთობის შესახებ. აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო ამ პუბლიკაციის წინააღმდეგ გამოვიდა, მაგრამ გაზეთის რედაქციამ ამ მონაცემების გამოქვეყნების უფლება სასამართლოს ძალით მოიპოვა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ავტორი „ვიკილიქსინგით“ კი არაა გართული, არამედ ნამდვილი, საგამოძიებო ჟურნალისტიკით. აქ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ტრადიციულად პათეტიკურად გვეხსენებინა ორმაგი სტანდარტები, უწესო, ბინძური თამაშები, სამოთხეჯოჯოხეთი, მამონას მონობა, ორუელის ორაზროვნება – ორენოვნება და ფრაზა „სასაცილო იქნებოდა, სამწუხარო რომ არ იყოს“. ანდა გვეხსენებინა ამერიკის ჩინეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება; ანდა უახლოეს მომავალში რუსეთთან დაგეგმილი ერთობლივი საავიაციო სწავლებები. მაგრამ, ვფიქრობ, ეს აქ უადგილო იქნებოდა, რადგანაც ჰილარი კლინტონმა ჩინეთში ვიზიტისას ცხადად, ყოველგვარი ქარაგმების გარეშე განაცხადა, რომ ჩინეთში ადამიანის უფლებები ამ ჯერზე განხილვას არ ექვემდებარება (ამერიკას მრავალტრილიონიანი ვალი აქვს ჩინეთისძ, ხოლო მფრინავთა სწავლებები ობამას „პერეგრუზკის“ პოლიტიკას სავსებით შეესაბამება და ამაში არაფერია დამალული. მაგრამ ჯო ბეკერის სტატიის სკანდალურობა სწორედ ის არის, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის გადამტანი ქვეყანა, რომელიც უკვე მერამდენე წელია ტერორისტების წინააღმდეგ ორ ომს აწარმოებს; რომელიც ირანზე სანქციების დაწესებას ლობირებს და ამისკენ სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებს, თავად ვაჭრობს ირანთან. თანაც, განა, კანონის გვერდის ავლით? არამედ ოფიციალურად. ლიცენზირებულად. ხაზინაში გადასახადების გადახდით. ანუ მარჯვენამ კარგად იცის, რას აკეთებს მარცხენა. ორი სტრატეგიული პარტნიორი კი ერთმანეთთან „შეთანხმებით“ მოქმედებს. საქართველო ირანთან უვიზო რეჟიმს აწესებს, ხოლო ამერიკა – ეკონომიკურს.

თითქმის სამი წლის წინათ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ელიოტ სპიცერი თანამდებობიდან დიდი აურ-ზაურით იმიტომ გადადგა, რომ მის მიერ „ელიტარული“ მეძავის ეშლი დიუპრეს „მოხმარების“ ფაქტი „გასკდა“. აქ, ერთი შეხედვით, არაფერი იქნებოდა დიდად საისტერიკო, რომ არა ელიოტ სპიცერის (მეძავებში კლინტ №9-ად წოდებულიძ მიერ ნიუ-იორკში გაჩაღებული, ხმალამოღებული ომი პროსტიტუციის წინააღმდეგ. თუმცა ელიოტსაც და მის მეძავსაც მეტ-ნაკლებად გაუმართლათ. ელიოტი CNN-ზე წამყვანად და ბლოგერად მიიწვიეს. მისი „რჩეული“ ეშლი კი გაზეთ New-York Post-ის კოლუმნისტი გახდა და მომღერლის კარიერისთვის საჭირო ყურადღებაც მიიპყრო. გუბერნატორი გადადგება. სახელწიფო – ვერანაირად.

* * *

„მექანიკური ფორთოხალი“ მეოცე საუკუნის ერთგვარ არქეტიპულ ტექსტად, „აპოკალიფსად დღეს“ იქცა, როცა ადამაინის სული და მატერია შეუქცევადად იხლიჩება. როგორ, რა საშუალებით მოხდება ეს: ტოტალური მოხმარების კულტით, მანიპულირების უწყვეტი კონვეიერით, ტყუილ-მართლისა და „სიროზის“ წარმატებით აღრევით, ინსტინქტების ბოდვით თუ ფასეულობათა ინფლაციით, პრინციპში, შედეგისთვის უკვე არანაირი აზრი არა აქვს. ფილმში ძალადობა აბსოლუტურად გროტესკულ, ესთეტიზებულ (ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის ფონზეძ და ამაზრზენ სახეს იღებს. მაგრამ ძალადობას ერთი „მანკიერი“ თვისება აქვს. ძალადობა თავად მოიხმარს იმას, ვინც სხვას მოიხმარს. ფსიქოპათი ალექსი, რომელიც სულაც არაა ხეზე მძრომიალე, არქაული ბარბაროსი ან ე.წ. ველური ტომის წევრი. იგი სილამაზესაც აფასებს და მუსიკასაც გრძნობს. მაგრამ ხელოვნება მას ლამის მითოლოგიურ მოძალადედ გახდომისგან სულაც არ დააზღვევს. კანონზომიერია, რომ იგი თავად, თავისავე სურვილით ხდება სხვისი მოხმარებისა და ექსპერიმენტის საგანი, ხდება მსხვერპლი, ძალით „გაქრისტიანებული“, მექანიკური მოქალაქე.

XXI საუკუნეში ამგვარი „გაქრისტიანებისთვის“ სულაც არაა საჭირო ფიზიკური, ემოციური ტკივილის ჯოჯოხეთში გაიარო. თუ ალექსის ძირითადი მიზანი ორგაზმი და მისი პოეტიკაა („ფორთოხლის“ ლიტერატურული ვერსია უფრო ოპტიმისტურიაძ, ზემოხსენებული ქართველი გმირებისთვის კი ტრავიალური თუ ექსტრაორდინალური წარმატება (არც ნებისმიერი ხერხით, რომელსაც კაცი (ქალიძ მოიგონებს, მარიფათი ანუ „ცხოვრებაა“. ცხოვრება ადამიანურად, ანუ ნორმალურად. ამისთვის კი ცხოვრება უნდა გაცალონ. იმათ (იმანძ – ჩვენ (შენძ. ამასთან დაკავშირებით მახსენდება სამოქალაქო ომის დროს შევარდნაძის, როგორც დემითოლოგიზებული, მაგრამ მაინც გოდოს გამოჩენისგან მავანთა მიერ განცდილი სიხარული, ქართული სისხლიანი რეალითიშოუ და ტოპ – ეპითეტების კორიანტელი: გამოცდილი მელაა, მატყუარა, ეშმაკი, თანაც წონიანი პოლიტიკური კაპიტალით. ასეთი გვჭირდება, დაგვალაგებს, გვაცხოვრებს, გზას გვიჩვენებს. ..

ამ და კიდევ სხვა მიზეზთა გამო დღეს ქართულ ტელევიზიას და არა მარტო ქართულს, აქცენტი აგრერიგად აქვს გადატანილი კრიმინალურ ქრონიკაზე (ალექსიც, ფაქტობრივად, კრიმინალიაძ, ფიზიკური ძალადობა ხომ ფიზიკურია, აუდიოვიზუალურტაქტიკური და მგრძნობელობის სხვა არხებზეც წამიერად მოქმედებს; ხილვადი დრამაა, დასჯადია, წასატირებელია, ეპიზოდურად „ნწუ-ნწუსა“ და „რა გვეშველებას“ საძახებელი. თანაც წყალგამყოფს „ჩვენსა“ და „მათს“ შორის მკვეთრად აჩენს. ანუ ჩვენსა და, ამ შემთხვევაში კრიმინალ „თეთრსაყელოიანებსა“ და კბილებჩაცვენილ მარგინალებს შორის. საზოგადოების დასამშვიდებლად კი, როგორც ჰეპი – ენდი, „მოლაპარაკე ყუთიდან“ ფერადად, პლაზმურ ან ჩვეულებრივ სატელევიზიო ეკრანზე ვხედავთ, რომ ხელბორკილდადებულები მართლმსაჯულების კიბეებზე აჰყავთ; სიუჟეტის ბოლოს კი აუცილებლად გამოჩნდება დალაგებულსახიანი გამომძიებელი, სწორი სიტყვებით, კოდექსების პარაგრაფებით და დაამშვიდებს მაყურებელს: ყველაფერი საიმედო ხელშია. ესენი – ციხეში, თქვენ – სიმშვიდეში. ცხოვრება შეიძლება, ცხოვრება მშვენიერია.

2000 წელს ეკრანებზე სთივენ სოდერბერგის ფილმი „ერინ ბროკოვიჩი“ გამოდის. ფილმის გმირი რეალური ადამიანია, სახელად ერინ ბროკოვიჩი. შინაარსი კი მისი ცხოვრებისეული, მოქალაქეობრივი ისტორიაა. სამი შვილის მარტოხელა დედას არანაირი იურიდიული განათლება, ფინანსური და სოციალური კაპიტალი არ აქვს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იგი ერთ-ერთ დიდ გაზისა და დენის მიმწოდებელ კორპორაციას (PG&Eძ დაუპირისპირდა, რომლის მიერ მოხმარებული Cr 6-ით ადამიანებს ავთვისებიანი სიმსივნე გრუნტის წყლების ხელოვნურად დაბინძურების გამო ემართებოდათ. ერინი და იურიდიული ფირმა, სადაც იგი, უბრალოდ, არაწამყვან პოზიციაზე აიყვანეს, კორპორაციას ღიად ებრძვის და სასამართლოსაც მოიგებს. შედეგად დამბინძურებელი (PG&Eძ იძულებულია დაზარალებულთა ოჯახებს 333 მლნ. დოლარი გადაუხადოს. ყველაფერი კი ბროკოვიჩის არაგულცივობით დაიწყო. მან უბრალოდ, ერთი წერილი უყურადღებოდ არ დატოვა და მასზე რეაგირება გადაწყვიტა. ერინ ბროკოვიჩი საქმიანობას დღესაც განაგრძობს. მას თავისი საკონსულტაციო ფირმა აქვს. რამდენიმე წლის წინათ ტელევიზიით თვალი მოვკარი რეკლამას, სადაც ეს ქალი იურიდულ ფირმას Weitz and Luxenberg p.c. აპიარებდა, რომელთანაც თავად ინტენსიურად და ეფექტიანად თანამშრომლობს. ორგანიზაცია სასამართლოში იცავს იმ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა კორპორაციების, დიდი თუ პატარა კომპანიების მიერ გარემოს დაბინძურების შედეგად დაზარალდნენ, დაემართათ მეზათელიომა, ფილტვის დაავადებები, მათ შორის, სიმსივნე, აზბესტოზი. სასამართლოში კომპანიის მიერ მოგებული საქმეების შედეგად და უპასუხისმგებლო, მექანიკური მოქალაქე – კორპორაციებიდან „ახეული“ თანხები 4 მლნ.-დან 423 მლნ.-მდე მერყეობს. ამას წინათ კი ცნობილი გახდა ორგანიზაცია „გარემოს დაცვის სამუშაო ჯგუფის“ კვლევის შესახებაც. მან ამერიკის 35 დიდი ქალაქში წყლის ხარისხი შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ 31-ის (ვაშინგტონი, ნიუ-იორკი, ბოსტონი, ჩიკაგო, ატლანტა, ლოს-ანჯელესი...ძ წყალსადენებში ის ყბადაღებული Cr 6-იანი წყალი მიედინება. სპეციალისტებმა ასევე განაცხადეს, რომ შესაძლოა ფასიანი, ბოთლიზებული სასმელი წყალი ჰექსავალენტური ქრომისგან სუფთა სულაც არ იყოსო. „ერენბროკოვიჩიადა“ კვლავ გრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემა 1996 წელს საბოლოოდ არ და ვერ გადაწყდა, როცა PG&E კორპორაციამ უზარმაზი თანხის გადახდით, ფაქტობრივად, საჯაროდ აღიარა თავისი დანაშაული და სამაგლითოდაც დაისაჯა.

ამ ორმა „ქეისმა“ („შავ სიაში“ შეტანილი ქვეყნები და Cr6ძ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ არც მეტნაკლებად „დალაგებული“ სახელმწიფო და არც მისი კერძო, მცირე – საშუალო – დიდი ბიზნესი სანდო არაა და არც არასოდეს იქნება; რომ ადამიანები/ადამიანი ყოველწამს ფხიზლად უნდა იყვნენ/იყოს; რომ ორივეს, სამთავრობოსაც და არასამთავრობოსაც მოქალაქე უნდა აკონტროლებდეს (ამისთვის სულაც არაა საჭირო იურისტის, ჟურნალისტის თუ სხვა დიპლომიძ, თუნდაც ერთი, ოღონდ არამექანიკური, თუნდაც არაპროფესიონალი. რომ სწორედ ამ ერთზეა დამოკიდებული დედამიწის, სახელმწიფოთა გაერთიანებების, ქვეყნის, საზოგადოების, ადამიანის რეალური ვალენტობა.



ია მერკვილაძე,
ნიუ-იორკი, აშშ

დასასრული. დასაწყისი იხ. № 63

ინფორმაცია

## „ეიფელის კოშკი“ – მუსიკალური ინსტრუმენტი

ნიუ-იორკელმა კომპოზიტორმა ჯოზეფ ბერტოლოციმ ეიფელის კოშკის მმართველ კომპანიისგან პარიზის სიმბოლოს მუსიკალური ინსტრუმენტის სახით გამოყენების უფლება მიიღო. ამის შესახებ „ნიუ იორკ თაიმსი“ იტყობინება.

ამიერიდან ბერტოლოცის შეეძლება, ჩაწეროს ბგერები, რომლებიც ეიფელის კოშკის, როგორც პერკუსიის (დასარტყმელი ინსტრუმენტის) გამოყენების შედეგად მიიღება. მოგვიანებით კი ამ ბგერებით მუსიკალური კომპოზიცია შეიქმნება. ბერტოლოცის საბოლოო მიზანი ეიფელის კოშკზე ამ კომპოზიციის შესრულება იქნება.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ამერიკელი კომპოზიტორი დასარტყმელ იარაღად განთქმულ ფრანგულ კოშკს იყენებს. უფრო ადრე მან ბგერები მოიპოვა მდინარე ჰუდსონზე მდებარე ფრანკლინ რუზველტის ხიდიდან.

ბერტოლოცის თქმით, ეიფელის კოშკის მმართველ კომპანიას ცოცხალი კონცერტის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. მუსიკოსმა კონცერტისთვის ფულის შეგროვება უკვე დაიწყო. იგი ვარაუდობს, რომ კონცერტი ეიფელის კოშკის 125 წლის იუბილეზე, 2014 წელს შედგება.

ჯი-ეიჩ-ეფი



ჩოგბურთი

# ესეც ასეული!



**საქართველოს პირველმა ჩოგანმა ანა ტატიშვილმა ამერიკულ ჩარლსტონში მიმდინარე პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირ Family Gerctl Gu-ზე, რომლის საპრიზო ფონდი 721 ათასი დოლარია, მეოთხე გამარჯვება მოიპოვა., 60 სარეიტინგო ქულა მიიღო და, სავარაუდოდ, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTAძ საუკეთესო ასეულში მოხვედრა გაინაღდა.**

ტატიშვილმა კვალიფიკაციაში ვენესუელელ გაბრიელა პაზსა (479-ე ჩოგანიძ და უკრაინელ ტატიანა ლეჟანსკას (194-ეძ მოუგო, ძირითად ბადეში კი მსოფლიოს 64-ე ჩოგან ელენა დოკიჩის (ავსტრალიაძ ძლევის (7:5, 2:6, 6:4ძ შემდეგ, რუს მე-9 ნომრად განთესილ მარია კირილენკოსაც აჯობა – 5:7, 7:5, 6:3.

საინტერესოა, რომ კირილენკოს კლასიფიკაციაში 28-ე ადგილი უკავია და ასეთი მაღალი რეიტინგის მქონე ჩოგბურთელისთვის ტატიშვილს აქამდე მოგებული არ ჰქონდა. ამ გამარჯვებით ანა ტატიშვილმა 7850 დოლარიც მიიღო. განახლებულ რეიტინგში მისი მონაგარი 668 ქულა იქნება და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წესით ასეულშიც უნდა მოხვდეს.

მერვედფინალში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე ბელგიელი იანინა ვიკმაიერი იქნება, რომელიც ჩარლსტონში მე-6 ნომრადაა განთესილი, რეიტინგში კი 2300 ქულით 23-ეა.

**საკუთარი ინფორმაცია**

ჩემპიონთა ლიგა

# გინდა ახტი, გინდა დახტი...



**დიახ, ჩვენი საყვარელი ტელეკომენტატორის ნუგზარ ჯულელის ერთ-ერთი ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს, გინდა ახტი, გინდა დახტი: 17 აპრილიდან 3 მაისამდე საფეხბურთო სამყაროს ერთბაშად ოთხი „ელ კლასიკო“ ელის.**

აღნიშნული სერიალის ჟურნალი პრიმერადივიზიონისა და „კოპა დელ რეის“ გათამაშების გადამწყვეტი მატჩები იქნება, ხოლო ფილმის პრემიერად, გნებავთ – გვირგვინად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური ბრძოლები უნდა იქცეს.



ეს რომ ასე იქნება, პირველი მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგები ადასტურებს, რომელიც ორივემ სოლიდური უპირატესობით მოიგო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ მადრიდის „რეალმა“ „ტოტენჰემს“ ცალი ფეხით გადაურბინა, „ბარსელონას“ დონეცკის „შახტარმა“ ღირსეული მეტოქეობა გაუწია, განსაკუთრებით თამაშის დებიუტში.

მეტიც, კატალონიელები ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ დონბასელთა ბრაზილიელმა ვარსკვლავებმა რამდენიმე ისეთი ხელსაყრელი მომენტი გაფლანგეს, რომელსაც შეეძლო ძირფესვიანად შეეცვალა ორრაუნდიანი დუელის სცენარი.

ასე რომ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით უკრაინული კლუბის წლევანდელი აღზევების კანონზომიერებაში და იმაში, რომ მირჩა ლუჩესკუს გუნდმა ლოგიკურად მოიგო როგორც ჯგუფური რაუნდი, ისე „რომასთან“ წინა ეტაპის ბატალიები.

კი მაგრამ, დამარცხებულმა რომ ასეთი დითირამბები დაიმსახურა, გამარჯვებულზე ტომები დაიწერებაო, – იფიქრებთ ალბათ. არაფერი მსგავსი – მასპინძლებმა ისეთი სპექტაკლი დადგეს, როგორსაც უკვე კარგახანია მიჩვეულნი ვართ, ამიტომ არაფერი გაგვკვირვებია.

**„ბარსელონა“ – „შახტარი“ 5:1. გოლები: ინიესტა, ალვეში, პიკე, კეიტა, ხავი; რაკიტსკი.**

**„ჩელსი“ – „მანჩესტერი“ 0:1. გოლი: რუნი.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

კალათბურთი

# დენთის სუნის მოლოდინში



**დღეს სპორტის სასახლეში, არც მეტი, არც ნაკლები, დენთის სუნი დატრიალდება. დიახ, გნებავთ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეთ და გნებავთ – გადატანითით: სუპერლიგის მორიგი ტურის ცენტრალურ ბრძოლაში 14 საათზე ერთმანეთს გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი, თავდაცვის სამინისტროს „არმია“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი შეხვდებიან, რომელიც კვალიფიციური კონტინგენტის გათვალისწინებით სამართლიანად ითვლება ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად.**

შეგახსენებთ, რომ ლევან მოსეშვილის შეგირდებს ჯერჯერობით ორი წაგება აქვთ, მათ მეტოქეებს კი – ხუთი, თანაც არც ერთი უშუალო კონკურენტი აქამდე არ დაუმარცხებიათ. ვიმედოვნებთ, ისინი ნავსის გატეხვას დღეს შეეცდებიან.

**გაუწყებთ დანარჩენი მატჩების განრიგსაც: *„სასოფლო“ – „ენერჯი ინვესტი“ (12 საათზეძ, „სამედიცინო“ – „სოხუმი“ (16 საათზეძ, სტუ – „დინამო“ (18 საათზეძ.***

**როსტომ გიორგაძე**

ეროვნული ჩემპიონატი

# სამი უცნობი

**ეროვნული ჩემპიონატის XXVIII ტურის შემდეგ სიტუაცია სატურნირო ცხრილის სათავეში უკიდურესად დაიძაბა.**

**ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გათამაშების აწ უკვე ყოფილი ერთპიროვნული ლიდერი „ზესტაფონი“ პრინციპულ იმერულ დერბიში „ქუთაისთან“ შეფერხდა – 0:0, ხოლო მისმა უახლოესმა მდევრებმა ასევე სტუმრად მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს.**



რიონისპირა ქალაქში გამართულ ბრძოლაში გია გეგუჩაძის გუნდს ერთბაშად სამი დისკვალიფიცირებული მოთამაშე აკლდა – დაუშვილი, დვალი და გელაშვილი, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა შეხვედრის სიუჟეტზე. შეგახსენებთ, რომ ისინი წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ არჩათვლილი გოლის გამო განვითარებული მოვლენების გამო დაისაჯნენ, თუმცა, ვფიქრობთ, როცა საჩემპიონო ამბიციები გაქვს, სრულფასოვანი სათადარიგოთა სკამიც უნდა გიმაგრებდეს ზურგს.

სხვათა შორის, ფეროელთა პრეზიდენტის ილია კოკაიას ამასწინანდელ სკანდალურ ინტერვიუს, რომელიც გაზეთ „მსოფლიო სპორტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, სფფ თავკაცმა ზვიად სიჭინავამ გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად ბატონი ილიას მიერ გამოთქმული პრეტენზიებისა, თითქოს ფედერაცია ყვირილასპირელთა ჩაძირვას ცდილობდეს, იგი ყოველგვარ პიროვნულ გაუგებრობას გამორიცხავს და, პირიქით, ყველგან მაგალითად მოჰყავს ზემოიმერული კლუბის გამართული ინფრასტრუქტურა და იქ დასაქმებული კონტინგენტის პროფესიონალიზმი (თუნდაც სახელმწიფოს დე ფაქტო მეთაურთან რამდენიმე დღის წინანდელ აუდიენციაზეძ.

**დანარჩენი შედეგები:** „სამტრედია“ – „კოლხეთი“ 0:0, „სიონი“ – „ბაია“ 1:0 (**ჩირიკაშვილი**ძ, „ვიტ ჯორჯია“ – „ოლიმპი 0:1 (**გეწაძე**ძ, „ცხინვალი“ – „დინამო“ 1:3 (**ჯაკობია; კოშკაძე** – 2, **ტატანაშვილი**ძ.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ზესტაფონი“, „ოლიმპი“ – 57-57, „დინამო“ – 50 ქულა (26 თამაშიდანძ.

**კვირას, 10 აპრილს XXIX ტურში გაიმართება ცენტრალური მატჩი „ზესტაფონი“ – „დინამო“ (მისი ტელერეპორტაჟი I არხზე 18 საათზე დაიწყებაძ.**

**გიორგი შოთაძე**

გამოცა

# ძვირფასი წიგნი – „ფერარის“

**შრი ლანკაში გაიყიდა იტალიური ავტომწარმოებლის „ფერარისადმი“ მიძღვნილი უძვირფასესი წიგნის პირველი ეგზემპლარი, რომელიც ბრიტანულმა კომპანიამ „კრაკენ ოპუსმა“ გამოსცა.**

წიგნი კონცერნისთვის ტრადიციული წითელი ყდითა და ლოგოტიპითაა, რომელიც მოოჭვილია ბრილიანტებით, ღირს 155 ათასი გირვანქა სტერლინგი და მსოფლიოს ყოველ ქვეყანაში 20 ეგზემპლარს შეიტანენ.

ეს ძვირფასი წიგნი მყიდველს 10-ათასი გირვანქით მეტი დაუჯდება, ვიდრე თავად „ფერარის“ ბოლიდი. მასში იქნება ინფორმაცია ამ ფირმის ყველა მანქანაზე.

გაცილებით დემოკრატიული ვერსიები კი, ის მხოლოდ სამია, ღირს 4 ათასი გირვანქა და გათვალისწინებულია თითოეულ ქვეყანაზე ერთი ცალი. შინაარსის მიხედვით ყველა ვერსია ერთნაირია.



როგორც „ფერარის“ მესვეურები აცხადებენ, 852-გვერდიან წიგნში იქნება დღემდე ცოცხალი „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონების ხელმოწერა. გამოცემა იწონის დაახლოებით 37 კილოგრამს, შეიცავს 200 ათას სიტყვასა და 2 ათასზე მეტ ილუსტრაციას.

ინტერნეტიდან

## 300 000 რუბლი — ბანანისთვის



**სწორედ რომ 300 ათასი რუბლით დააჯარიმეს სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ მაყურებელთა მხრიდან რასიზმის გამოვლინებისათვის. რუსეთის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩის წინ „ზენიტის“ გულშემატკივარმა ბანანი გაუწოდა მახაჩყალის „ანჟის“ ბრაზილიელ ფეხბურთელს რობერტო კარლოსს.**

„ზენიტი“ დასაჯეს 121-ე მუხლის მე-2 პარაგრაფითა (რასიზმის გამოვლენა მაყურებელთა მხრიდანძ და 101-ე მუხლით (საზოგადოებრივი უსაფრთხოების ვერუზრუნველყოფისათვისძ, რამაც საერთო ჯამში 300 ათასი რუბლი შეადგინა. როგორც სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ ვლადიმერ კატკოვმა განაცხადა, მათ გაითვალისწინეს, თუ როგორ ვითარებაში და როგორ მომენტში ჩაიდინეს ეს საქციელი – როდესაც აღმართავდნენ რუსეთის დროშას და სრულდებოდა სახელმწიფო ჰიმნი. ისიც მივიღეთ მხედველობაში, რომ ეს იყო კერძო შემთხვევა და არ ჰქონდა მასობრივი ხასიათიო.

„ბანანის“ თემა უცხო როდია რუსეთის ფეხბურთისთვის. შარშანდელ სეზონში მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და „დინამოს“ შეხვედრის დროს გულშემატკივრებმა გამოფინეს ბანერი, რკინიგზელებიდან პიტერ ოდემივინგიეს ინგლისურ „ვესტ ბრომვიჩში“ გადასვლას რომ ეძღვნებოდა. ბანერზე ინგლისურად ეწერა „მადლობა, „ვესტ ბრომო!“ და ეხატა ბანანი, რითაც ხაზს უსვამდნენ ფეხბურთელის სადაუროზას.

## სასამართლოში, აბა, რა უნდა?

**ლათინური ამერიკის სექს-სიმბოლო, მოდელი, მსახიობი, მომღერალი და ნაციონალური ფეხბურთის ლიგის ცნობილი მოთამაშის ჯერემი შოკის ყოფილი გულისვარდი ვიდა გუერა მოპასუხედ დაიბარეს სასამართლოში ლოს-ანჟელესის ერთ-ერთ ღამის კლუბში ჩხუბის გამო. ეს ინციდენტი ჯერ კიდევ შარშან, მარტში მოხდა. ამ დროს კი ლამაზმანი შიგნით, კლუბში ყოფილა, თავის დაბადების დღეს რომ აღნიშნავდა.**

საჩივარი შეიტანა სამმა მამაკაცმა, რომლებიც ამ ჩხუბში სცემეს. გუერა მოპასუხედ მიიჩნიეს იმიტომ, რომ ერთ-ერთი მისი მცველი თითქოს იყო თავდამსხმელთაგანი. დაზარალებულთა ადვოკატი ფრედ ჰენასაბე ამტკიცებს, რომ მდედრის მცველმა შეურაცხყო მისი ერთ-ერთი კლიენტის სატრფო.



ვიდა გუერა დაიბადა 1974 წლის 14 მარტს კუბის დედაქალაქ ჰავანაში. შემდეგ მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში. 2004 წელს იგი გახდა „FNM-ის წლის მოდელი“, ორჯერ მიიღო ჟურნალის „საუკეთესო საჯდომის“ პრიზი. 2005 წლის აპრილში მოპარეს მობილური ტელეფონი და მისი ათობით პიკანტური ფოტოსურათი სწრაფად გავრცელდა ინტერნეტში. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ეს იყო თავისებური სარეკლამო ტრიუკი პოპულარობისთვის. 2006 წელს კი ლამაზმანი გადაიღეს ჟურნალისთვის „Playboy“. ის ვეგეტარიანული ცხოვრების წესს მისდევს და ტიტველი გადაიღეს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციისთვის PETA.

მათი „ვარსკვლავი“

# მართვეს დაარწივება

**ორი დღეა, „არტოს“ ბაღში დავდივარ, ორი დღეა, მინგრეულ-მონგრეული „პლეხანოვის“ ტალახსა და მტვერში ვიგანგლები... მაინც კმაყოფილი დავრჩი: როგორც იქნა, „გამოვიჭირე“ ძველი მეგობარი, ცნობილი ფოლკლორისტი, ერთ დროს ზ. ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლის დირექტორი, ლეგენდარული „გორდელას“ ერთ-ერთი წევრი, ხალხური სიმღერების საუკეთესო მცოდნე და პროპაგანდისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამაზ ანდღულაძე. „გამოსაჭერი“ რა სჭირდა, მაგრამ მთელი „პლეხანოვი“ რომ სახეს იცვლის, რა თქმა უნდა, „არტოს“ ბაღშიც დიდი რეკონსტრუქციებია და ბატონი თამაზი — აქ განთავსებული ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სახლის დირექტორი — ძნელი დასაჭერია.**

მაინც ვხვდებით და ჩვენი საუბრის მთავარი თემა ამჯერად ანსამბლ „მართვეს“ განვლილი გზაა, რომელიც 30 წლის წინათ დაიწყო და უკვე ისეთი ამაგი აქვს ქართული ხალხური სიმღერის წინაშე, რომ დღეს თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ „ვარსკვლავსაც“ კი უხსნიან ამ ანსამბლს.







**— გავიხსენოთ „მართვეს“ გზის დასაწყისი, ბატონო თამაზ?..**

— ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტები ვიყავით, როდესაც ჩვენი ანზორ ერქომაიშვილი პირველ საშუალო სკოლაში მიიწვიეს ქართული ხალხური სიმღერების გუნდის შესაქმნელად. ადგა ანზორი და შეკრიბა მხოლოდ ბიჭები — წარჩინებული მოსწავლეები და შექმნა ფოლკლორული ანსამბლი, რომლის მსგავსი არც იყო იმ დროს საქართველოში... ეს ფაქტი უმალ „გაშიფრა“ აქ, ამ ბაღში მდებარე მხატვრული აღზრდის სახლის დირექტორმა, ჭეშმარიტად ღვაწლმოსილმა ადამიანმა ნათელა ჯილაურმა და სთხოვა ანზორს, კვლავაც შეეკრიბა ნიჭიერი ბავშვები და მხატვრული აღზრდის სახლთან შეექმნა ანსამბლი... ასეც მოხდა და, მოგვიანებით, ეს ანსამბლი „მართვედ“ მოინათლა... მოდიოდნენ და მოდიოდნენ (უფრო სწორად, მოჰყავდათ მშობლებს) ნიჭიერი ბიჭები, ოღონდ ეგ იყო, მათ პროფესიული განათლება არ ჰქონდათ და გადავწყვიტეთ, ვისაც ესურვებოდა, გადაგვეყვანა ზ. ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლაში... ჰოდა, ახლა რომ ვამაყობთ აჩიკო უშვერიძით, კახა ონაშვილით, გიორგი უშიკიშვილით და სხვათა ანსამბლებით, ისინი სწორედ 28-ე სკოლადამთავრებულები არიან... დღეს რომ ბევრი ცნობილი ლოტბარია, დირიჟორია თუ, უბრალოდ, მშობლიური ფოლკლორის მოამაგეა, ანუ „არწივია“, ყველა ერთ დროს „მართვე“ იყო, ჩვენი სკოლა აქვთ დამთავრებული... ვინც სიმღერას ვერ გაჰყვა, ჩვენი „მართვეები“ უბრალოდ კაი ბიჭები, სამშობლოსა და მშობლიური ფოლკლორის თაყვანისმცემლები არიან და, მე რამდენადაც ვიცი, არც ერთ მათგანს პოლიციასთან საქმე არ ჰქონია, ანუ, შეიძლება ითქვას, „არწივებად“ დარჩნენ...

**— ამწუთას რა ხდება აქ, ბატონო თამაზ... იგრძნობა, რომ დიდი მშენებლობები მიდის...**

— შენდება ახალი სასახლე და, იმედია, მალე გადავალთ იქ, მაგრამ მანამდე რეპეტიციებს არ წყვეტს ანსამბლი „მართვე“, „ერქვანი“, მოცეკვავეთა ანსამბლი „პატარა რუსთაველები“ ფრიდონ სულაბერიძის ხელმძღვანელობით... და, ნეტა იცოდეთ, რა ენთუზიაზმია, რა მოთხოვნილებაა, ამიტომ, ალბათ, მალე კონკურსის წესით მივიღებთ ჩვენთან ქართული ფოლკლორის მოტრფიალეთ. როცა ყველაფერი დალაგდება, როცა ფოლკლორის სასახლე გაიხსნება, ალბათ, ბევრი ჩანაფიქრიც განხორციელდება. მაგალითად, ბატონ ანზორ ერქომაიშვილს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან შეთანხმებით განზრახული აქვს აქ საგალობლის სკოლა გაიხსნას. თქვენ, ცხადია, იცით, 28-ე სამუსიკო სკოლასთან არსებობს შესანიშნავი გუნდი მგალობლებისა — „ბიჭები“, ჰოდა, სასახლეში გახსნილი სკოლა მეტად და მეტადრე აამაღლებს ჩვენს სულიერებას, ქართული გალობის იგავმიუწვდომელ ჰარმონიას.

**— ღმერთმა გისმინოთ... დღეს კი „მართვეს“ მივულოცოთ დაარწივება...**

— ჭეშმარიტად...

**ვილენ მარდალეიშვილი**

სულთათანა

# კვალი ნათელი

## ბესარიონ მწყერაძის ნათელ ხსოვნას



ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია და კ.ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი ბესარიონ ელიზბარის ძე მწყერაძე.

ყველას მოაკლდა მისი სითბო, მისთვის დამახასიათებელი მზრუნველობა და განსაკუთრებული სიყვარული.

ძნელია დაიჯერო, რომ მისმა ოცნებებმა, მიზნებმა და იმედებმა ასე მოულოდნელად შეწყვიტა არსებობა. სულ ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან დიდი ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ნამდვილი პროფესიონალი, კარგი ოჯახის მამა და საუკეთესო მეგობარი. არ დასცალდა ბიჭების დაფრთიანება და ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოყვანა... კიდევ ბევრი საწადისი დატოვა დაუსრულებელი...

კიდევ ერთხელ და უფრო დიდი სიძლიერით გავარდა მეხი მოწმენდილ ცაზე ჩვენთვის, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის თანამშრომლებისთვის, ჩვენო ბესო. განგებას დაუწესებია ყველა საზარელ უბედურებასთან შეგუება, მაგრამ ეს მწუხარება თითქმის აღემატება ჩვენს შესაძლებლობას.

წახვედი მოულოდნელად, არ შეაწუხე არც ერთი მეგობარი, ცხოვრებაშიც ასეთი იყავი - არავის აწუხებდი, ვაჟკაცურად ატარებდი ქართველი კაცის სახელს, მოწადინებული იყავი მხოლოდ სიკეთე გეკეთებინა მოყვასისთვის. ალბათ, ამით არის გამოწვეული ეს დიდი მწუხარება შენს მეგობრებში და თანამშრომლებში.

* * *

ბესარიონ მწყერაძე დაიბადა 1955 წლის 6 მაისს ექიმების ოჯახში. ცნობილი ქართველი ქირურგისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორის ელიზბარ მწყერაძის ოჯახში.

ოჯახიდანვე ეზიარა ბესარიონი მკურნალის მძიმე პროფესიას, რომელიც ბოლომდე პირნათლად და ღირსეულად ატარა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1981 წელს დაიწყო სამედიცინო საქმიანობა. 1981 წლიდან ის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმი ინტერნია, 1982 წლიდან — ექიმი ორდინატორი იმავე საავადმყოფოში. 1986 წელს ბესარიონ მწყერაძე იწყებს მუშაობას ქ. გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში ექიმ ორდინატორად. 1989 წლიდან მან სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, რისთვისაც გაემგზავრა ქ.მოსკოვში საკავშირო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში. იქვე დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ, 1992 წლიდან ის უკვე ჩვენი ცენტრის აბდომინური ქირურგიის კლინიკის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. სამეცნიერო ცენტრში მოღვაწეობის პერიოდში ეწეოდა სამეცნიერო და პრაქტიულ საქმიანობას, იყო ყოველმხრივ განათლებული, ერუდირებული მეცნიერი, სამეცნიერო კონფერენციებისა და ფორუმების მონაწილე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

* * *

ოჯახს მოაკლდა მოსიყვარულე მამა და მეუღლე, თანამშრომლებს — უანგარო მეგობარი და კოლეგა, საზოგადოებას — განათლებული ექიმი. მისი ცხოვრება სამაგალითოა ყოველი ჩვენგანისთვის.

უეცრად შეწყვეტილი მისი სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა ხსოვნა და დიდი სიყვარული, რომელიც არასდროს მოკვდება.

ა.ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი,
კ.ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა საზოგადოება,
საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია,
აბდომინური ქირურგიის კლინიკა.

უმართებულო განცხადება

# მაგნიტური ქარიშხალი დაიწყო

**დედამიწაზე ოთხშაბათს საღამოს მაგნიტური ქარიშხალი დაიწყო, გეომაგნიტური რღვევების ინდექსმა ექვს ნიშნულს მიაღწია, ანუ ერთი ერთეულით მეტს დაშვებულ ზღვართან შედარებით, რაც უკვე მაგნიტურ ქარიშხალს ითვალისწინებს. ამის შესახებ ოკეანური და ატმოსფერული კვლევების და კოსმოსური ამინდის პროგნოზის აშშ-ს ნაციონალური ცენტრი იუწყება. მაგნიტური ქარიშხალი მზეზე მსხვილი პლაზმის ამოფრქვევითაა გამოწვეული.**

მეცნიერების განცხადებით, ჩვენი პლანეტის მოსახლეობა უახლოესი რამდენიმე დღის მანძილზე ჯანმრთელობის გაუარესებას იგრძნობს. ამასთან, სპეციალისტები ატმოსფერული წნევის რეკორდულ დაცემას პროგნოზირებენ.

ამ დროისთვის ე. წ. გეომაგნიტური ინდექსი 6-ია. სულ ამ შკალაში ინდექსის 10 დონეა.

მეცნიერების განცხადებით, მაგნიტური რღვევების დონემ რამდენიმე საათში „წითელ ზონას“ მიაღწია. ამ ეტაპზე გეომაგნიტური რღვევების ინდექსი 10-ბალიან შკალაში ექვსს აღწევს, რაც ამ შკალის შესაბამისად მეხუთე კლასის ქარიშხლის მაჩვენებელია.

მეცნიერების პროგნოზით მაგნიტური ქარიშხალი, შესაძლოა, რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში გაგრძელდეს, ვინაიდან მისი სიძლავრე და ხანგრძლივობა მზეზე მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული.

150 დიდ ასტეროიდს, რომელიც დედამიწას ძალიან ახლოს ჩაუვლის, სიცოცხლის განადგურება შეუძლია.

და კიდევ ერთი საფრთხე, რაზეც „ნასას“ სპეციალისტებმა შესაბამისი დასკვნები გააკეთეს, ციური სხეულებია, რომლებსაც რადიუსი ოცდაათი მეტრიდან ერთ კილომეტრამდე აქვთ. ისინი დედამიწის სიახლოვეს უახლოესი ასი წლის განმავლობაში იფრენენ.

სპეციალისტების განცხადებით, ის, რომ კაცობრიობა აუცილებლად განადგურდება უახლოესი ასი წლის მანძილზე, რა თქმა უნდა, უმართებულოა, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი კოსმოსური საფრთხის უგულებელყოფა და ჯეროვნად დაუფასებლობაც სწორი არ იქნებაო.

**ნატა ნიბლაძე**



საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი

ვასიკო ძოწენიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნომრის კარიკატურა



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

◉ სულიერება



# მთავარანგელოზ გაბრიელის კრება

**8 აპრილს – ხარების მომდევნო დღეს – საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზ გაბრიელის კრებას.**

...ცნობილია, რომ მთავარანგელოზმა გაბრიელმა ქალწულ მარიამს მისგან სოფლის მაცხოვრის შობა აუწყა (ახარა).

მთავარანგელოზი გაბრიელი ერთ-ერთია იმ შვიდ ანგელოზთაგან, ვინც „შესწირვენ ლოცვათა“ წმიდათასა და შევლენ წინაშე დიდებასა წმიდისა“.

მთავარანგელოზი გაბრიელი არის სიმაგრე ღმრთისა და კეთილი მაცნე ღმრთის საიდუმლოსი. მან კაცთა მოდგმას უნდა მოუტანოს თავისი ხსნის შესახებ გეგმები. ამიტომაცაა, რომ ეკლესია მთავარანგელოზ გაბრიელს „სასწაულების მსახურს“ უწოდებს.

ხატებზე მთავარანგელოზი გამოსახულია ხელში სამოთხის (თეთრი ზამბახის) რტოთი, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, მან ქალწულ მარიამ ღვთისმშობელს ხარების დღეს მიართვა.

**გიული ლიპარტია**

## მილოცვა



**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში, ღირსების ორდენის კავალერი ჯემალ გაგისონია 70 წლისაა.**

**ბატონო ჯემალ, თქვენი აღზრდილები – „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის ვეტერანი ფეხბურთელები, გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს – დაბადების 70 წლისთავს და გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი.**

„ნორჩ დინამოელთა“ სახელით,
ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის
**ვოვა გუცაევი, რეზო ჭოხონელიძე და გელა კეტაშვილი.**

◉ ინფორმაცია

# აელიტადან უცხომდე

იმის გამო, რომ რეალური მოსულები (უცხოპლანეტელებიძ არავის უნახავს, დედამიწის ცნობისმოყვარე გონიერება ხატავდა მათს კოსმოსურ სახეებს. კოსმონავტიკის დღის წინ ჩვენ გადავწყვიტეთ გავიხსენოთ, თუ როგორ წარმოედგინათ უცხოპლანეტელები მწერლებს, რეჟისორებს და ისეთ უბრალო ადამიანებს, როგორიცაა ქალბატონი თამარი, რომელმაც შეიფარა მოსული ალიოშენკა. დიდცხვირები, თმაგაბურძგნულები, ჭრელები... მაგრამ რაღაცით შეუცნობლად მაინც ჩვენი მსგავსები!



ალიოშენკა. 1996 წელს ქალაქ კიშტიმში ქალბატონმა თამარმა, პენსიონერმა იპოვა და შეიფარა 30 სანტიმეტრის სიმაღლის მოსული, მას ალიოშენკა დაარქვა. სენსაციაა, თუ პენსიონერი ქალის შიზოფრენია?..



აელიტა. ა.ნ. ტოლსტოის პერსონაჟი, მარსელი დედოფალი. დედამიწელმა ინჟინერმა ლოსმა ისე შეიყვარა ის, რომ მარსზე რევოლუციაც კი მოაწყო. აელიტამ ეს ვერ დააფასა – ტიპური შეზღუდული უცხოპლანეტელია...



ალფი. მომხიბლავი ქერა უცხოპლანეტელი პლენტა მემაკიდან. მთავარი თავისებურება – უყვარს კატების ჭამა. ამიტომ მიაჩნია იგი ყველას კოსმოსურ მხეცად. რა ვთქვათ კორეელებზე, რომლებსაც ძაღლები უყვართ?



გრომოზეკა. ალისას შესახებ კირა ბულიჩოვას წიგნების გმირი. რაღაც საშუალო „რვაფეხას, სპილოსა და ზვიგენს“ შორის. 10 საცეცი, 8 თვალი. ჩაი მისთვის საწამლავია, სამაგიეროდ უყვარს ვალერიანი – რატომაც არა, მას ხომ ხედავთ, 3 გული აქვს!



სპილბერგის უცხოპლანეტელი. ამ საკულტო კოსმოსური გმირის სახე მოდელირებულია აინშტაინის სახისა და მოპსის ჯიშის ძაღლისგან. 3 „კინოთოჯინა“ 700 დოლარი ღირდა – ეს 1982 წელს!



მთვარუკა. მთვარიდან პირდაპირ საბავშვო სერიალში ჩამოვარდა. კოსმოსურ ფუტკრად ითვლება. აქვს ლურჯი ფერის 4 ყური, ყველგან ყოფს თავის უცხოპლანეტურ ცხვირს.



მარსელები მხატვრული ფილმიდან „მარსი გვიტევს“. მახინჯები და ბოროტები: ხოცავენ დედამიწელებს, თან იფიცებიან, რომ მეგობრები არიან. მაგრამ ყველა კოსმოსურ არამზადას მოეძებნება თავისი მოსარჯულებელი: ეს არის დედამიწელთა სიმღერა, რისგანაც იმ მახინჯებს თავები უფეთქდებათ...



ოსტატი იოდა. სენსაცია: „ვარსკვლავური ომის“ საგიდან ამ უდიდესი ჯედაის პირველსახე იყო ნანაელი მონადირე დერსუ უზალა. რეჟისორმა ლუკასმა ის კუროსავას ფილმში იხილა და მოხიბლა!



ნიია. ეს არის საკულტო ფილმის „ეკლიანი გზით ვარსკვლავებისკენ“ გმირი დესას პლანეტიდან. ადვილად უმკლავდება ბოროტ ბიომასასაც, დედამიწელი ჭაბუკის სტეპან ლებედევის სიყვარულსაც: ირჩევს კოსმოსს, და არა ვნებას.



უცხო. სახსრებიანი თითები, გრძელი კუდი, საზიზღარი სიფათი. სისხლი წვავს კოსმოსურ ხომალდს. ძნელია დაიჯერო, რომ მისი სახე ვერაფრით დამკვიდრდა კინოში გადაჭარბებული... სექსუალობის გამო.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◉ ანეკდოტები

– ბავშვებო, დაასახელეთ რომელიმე ავი ცხოველი! – ეუბნება საბავშვო ბაღის აღმზრდელი პატარებს.

– მგელი, ლომი, ვეფხვი, ლეოპარდი... – ერთმანეთს არ აცლიან ჩამოთვლას ბავშვები.

– ნიანგლომი! – წამოიძახა მიხომ.

– კი, მაგრამ, ასეთი მხეცი არსებობს? – ეკითხება აღმზრდელი. – როგორ გამოიყურება იგი?

– ამ მხეცს ერთ მხარეს ნიანგის თავი აქვს, მეორე მხარეს – ლომისა.

– ასეთი რამ არ შეიძლება, – უხსნის აღმზრდელი, – თუ მას ორივე მხარეს თავი ექნება, უკანალი კი არა, ხომ ვერ მოისაქმებს?

– სწორედ ამიტომაც არის ავი.

* * *

– მიხო, რად ყიდი არაყს 6 ლარად, როცა ნიკასთან იგი 3 ლარი ღირს?

– ჰოდა, წადით და, ნიკასთან იყიდეთ?



– მაგრამ ნიკას სწორედ ახლა არა აქვს არაყი.

– აი, როდესაც არც მე მექნება, მაშინ მეც სამ ლარად გავყიდი!

* * *

მიმდინარეობს ლექცია ლოთობის მავნებლობაზე.

– სტატისტიკის მიხედვით, ამბობს ლექტორი, – მსმელ მამაკაცებს ცოლები ბევრად უფრო ხშირად ეყრებიან.

– მაინც რამდენის დალევაა ამისთვის საჭირო? – ისმის კითხვა დარბაზიდან.

* * *

დღეს თბილისის რკინიგზის სადგურის მტვირთავებს განვტვირთვის დღე აქვთ: ხუთი ვაგონი აგურის ნაცვლად მათ დასაცლელად ვაშლითა და მაწვნით დატვირთული ხუთი ვაგონი ჩამოუყენეს.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

◉ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24